პროლეტარიანო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მრომელთა დეპუტატების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 81-ე წელი

ოთხშაბათი, 18 აპრილი, 1951 წ. № 91 (8945). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს იხსნება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

მხურვალე სალამი ხალხის რჩეულთ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს!

გაუმარჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ საყოველთაო-სახალხო დეპუტატს, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, მშვიდობის დიდ მედროშეს ამხანაგ სტალინს!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისში გაიხსნება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო მუშობას იწყებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში. ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის მომძლე ხალხებთან ერთად ძალიანაა დაფიზგავადი იბრძოლის კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის. ამ ბრძოლაში მას აღიართა-ვებენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის იდეები, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის მშობიერი სტალინის სახელი. საქართველოს მშრომელებმა თავიანთი უსაზღვარი სიყვარული და ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი ახალი ძალით ცხადყვეს უმაღლესი საბჭოს წარსულ არჩევნებში, როდესაც კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურად ბლოკავ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ დიდი სტალინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი პატიცია. ბელადის დიდ ნდობას საქართველოს მშრომელები ამართლებენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და საყოფელურნეო მინდვრებში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე დაუღალავი შრომით, კიდევ უფრო ამრავლებენ თავიანთ წვლილს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს — მთელ ძალოვანი მშვიდობის სამყაო ბერკეტის — ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ბოლშევიკური პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა საქართველოს მოწინავე ინდუსტრიისა და დიდად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის ისტორიული ადგილი გადიკავა. იგი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, დიდი ელექტროსადგურების, შესანიშნავი სტატოპაიული მეურნეობის რესპუბლიკად გახდა.

ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განსაკუთრებული აღმავლობის წლები იყო ომის შემდგომი სტალინური ხუთწლიანი წლები, ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში 1946 წლის 9 თებერვალს განსაზღვრა კომუნისტური პარტიის მუშაობის გეგმები უახლოესი მომავლისათვის. ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ეტაპად თუ მეტად მნიშვნელოვანი ოდენობით. თუ ალარის ვიტყვით ომის შესახებ, რომ უახლოეს დროში გაუქმებული იქნება საბარათო სისტემა, განსაკუთრებული ყურადღება მიეცეცა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საკმარის ფასების თანმიმდევრებითი შემცირების გზით და ყოველგვარი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ფართო მშენებლობას, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მეცნიერებას გაშალოს თავისი ძალები“.

დიდი ბელადის მიერ დასახული ამოცანები ბრწყინვალედ განხორციელდა. დღეს „კომენსნტში“ ქვეყნდება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის 1946-1950 წლების მეოთხე (რომლშემდგომი პირველი) ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ამ ცნობას, რომელიც მთელი სიღიდით ასახავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში მოპოვებულ უდიდეს წარმატებებს, განსაკუთრებული სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდება ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი.

სსსიხარულო და საამაყოა ის, რომ ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა სსრ კავშირის მრეწველობის მიერ შესრულებულ იქნა ვადაზე ადრე — ოთხ წელიწადსა და სამ თვეში. 1950 წლისათვის სამრეწველო პროდუქცია გამომებულ იქნა 73 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს, მაშინ, როცა ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა ომამდელთან შედარებით პროდუქციის გამოშვების ზრდას 48 პროცენტით.

სსსიხარულო და საამაყოა, რომ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ ახალ მძლავრ აღმავლობას მიაღწია. ხუთწლიანის განმავლობაში მარტო მარცვლეული კულტურების საერთო ფართობი 20 პროცენტზე მეტით გადიდდა. მარცვლეულის საერთო მოსავალმა 1940 წლის დონეს გადააჭარბა 345 მილიონი ფუთით. ხუთწლიანი გეგმის დავალება მარცვლეულ კულტურების მოსავლიანობის დარგში გადაჭარბებით არის შესრულებული. 1949 და 1950 წლებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 13 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს.

ასეთივე წარმატებით არის შესრულებული ხუთწლიანის დავალებანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დარგში.

დიდ სტალინურ მიზნადასახულოობათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს მშრომელებმა სკროოზული წარმატებანი მოიპოვეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანის ყველა ძირითადი დავალება. 1950 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 52,3 პროცენტით გადაჭარბა 1940 წლის დონეს. ამავე პროცენტი 63,3 პროცენტით გადიდდა მარცვლეული და პროკასნისა კულტურების საერთო მოსავალი. საკუთარი მარცვლეულით ჩვენი რესპუბლიკის უზრუნველყოფის შესახებ ამხანაგ სტალინის მითითებათა განსაზორიკულებლად ზორბლისათვის ფოვიანებელ იქნა ათეულ ათასობით ჰექტარი ყამირი მიწა, წარმატებით სრულდება საირიგაციო მშენელობის გეგმა.

ქართველმა ხალხმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარების დარგშიც. მნიშვნელოვან გაფართოვდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების ქსელი, გაუმაღიმესდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადიდდა უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა, გაიზარდა სტუდენტთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში. ომისშემდგომ წლებში შეიქმნა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები. საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის ზრდის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ქართველი მეცნიერების, ლიტერატორებისა და ხელოვნების მოღვაწეთა ახალი ჯგუფისათვის სტალინური პრემიების მინიჭება, რაც ამ რამდენიმე ხანს წინათ მოხდა.

შესანიშნავ წარმატებებში, რაც მოპოვებულია ქართველი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მიერ, ასახულია ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინური ერთგული პოლიტიკის მთელი სიღიდე და სიბრძნე, ძალა და სიმტკიცე სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც მშრომელთა მეგზურებისათვის ეროვნულ დიადზელ მშვიდობან მშვიდობლობას ეწევა. საბჭოთა ადამიანები, რომელიც მშვიდობიან შეუძლებლობის შრომას იწევნან, ღრმად არიან დაინტერესებული ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებით. სწორედ ამიტომ არის, რომ ისინი მზადაყოფენ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას, რასაც საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებული თანმიმდევრობით და სიმტკიცით ახორციელებს. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ჩვენი დიდი სამშობლო სათავეში უდგას მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს, მტკიცედ იბრძის ომის ოგნელისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა აგრესიულ ბანდების ჩასაფრებაში.

ქართველი ხალხი, რომელიც აქტიურად იბრძვის მშვიდობისათვის, თავისი აყვავებული გარანტიის ხედავს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებაში. საბჭოთა სამშობლოს შემდგომი განმტკიცების ინტერესები მოითხოვს მუშაობას ეროვნულ კიდეზნების მშენებლობაში ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებად. ბოლშევიკური პარტია, ამხანაგი სტალინი საბჭოთა ადამიანებს ასწავლინ ერისთოდეს არ დაყოფოფილნენ მიღწეულით, ყურადღება გაამახვილონ ჯერ კიდევ გაჩადებულ ხაკიანებზე. ამ-ნაგ სტალინის ამ სახელმძღვანელო თითითებათა გამოყენებით ქართველი ხალხი თავდადებით იბრძვის რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის.

ქართველმა ხალხმა თავის წარგზავნილებს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მისცა მტკიცე განაწესი: იყვანენ ლენინ-სტალინის ტაბის სახელმწიფო მოღვაწეები, განეხრტლად იბრძოდნენ პარტიისა და ხალხის ინტერესებისათვის, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის დიად სტალინურ დადგებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის. ეკვი არ არის, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც დღეს შეუდგებიან დიდი სახელმწიფოებრივი მოგალეობის ფოეტრივი მოგალეობის შესრულებას, გაამართლებენ ამობრჩევლთა იმედს და ღირსეულად შესრულებენ ხალხის ნებას. ქართველი ხალხს ღრმად სწამს, რომ დეპუტატები თავიანთ კეთილშობილურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მტკიცედ გაჰყვებიან დიდი სტალინის მიერ ნაჩვენებ გზას და შემდგომშიც დაეურდნობიან ხალხის ეროსოლოვან ბარდაქერასა და დამბარებას.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს — ქართველი ხალხის ნაუკეთესო წარმომადგენლებს!

გაუმარჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ საყოველთაო-სახალხო დეპუტატს, პროგრესულ ეკონომიკის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

ცნობა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი

სსრ კავშირის 1946-1950 წლების მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1946 წლის მარტში მიღებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა წარმატებით არის შესრულებული, ხოლო გეგმის უმნიშვნელოვანესი დავალებანი შესრულებულია ვადაზე ადრე.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება მრეწველობის დარგში

განველილ ხუთწლედში მიღწეულია დიდი წარმატებანი სსრ კავშირის მრეწველობის აღდგენასა და განვითარებაში. ხუთწლიანი გეგმით დადგენილი იყო, რომ სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1950 წელს—ხუთწლედის უკანასკნელ წელს — 48 პროცენტით უნდა გადიდებულიყო ომისწინა 1940 წელთან შედარებით. ფაქტიურად 1950 წელს სამრეწველო პროდუქცია გამოშვებულია 73 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ხუთწლიანი გეგმა სსრ კავშირის მრეწველობამ მოსრულია ვადამდე —4 წელიწადსა და 3 თვეში. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის დაკარგვა, რაც ხუთწლიანი გეგმით დადგენილი იყო 1950 წლისათვის, შესრულებულია 17 პროცენტის გადაჭარბებით. თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის საფუძველზე უზრუნველყოფილია სოციალისტური მრეწველობის ყველა დარგის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება.

ხუთწლიანი გეგმის დავალებანი **შავი მეტალურგიის** დარგში ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების მხრივ შესრულებულია გადაჭარბებით. შავი ლითონნების ნაგლინის წარმოების დონე, რაც ხუთწლიანი გეგმით დადგენილი იყო 1950 წლისათვის, მიღწეულია ვადამდე—1949 წლის III კვარტალში, ხოლო ფოლადის წარმოების დონე—1950 წლის II კვარტალში. შავი მეტალურგიის სამინისტროომ შესარულა თუჯის გამოდნობის ხუთწლიანი გეგმა. შავი ლითონების წარმოებამ მილიონად 1950 წელს 45 პროცენტით გადაჭარბა ომამდელ დონეს, ხუთწლიანი გეგმის დავალება კი 35 პროცენტს ითვალისწინებდა; ამასთან თუჯის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდა 29 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა—49 პროცენტით და ნაგლინის წარმოება—59 პროცენტით. სამხრეთის მეტალურგიული მრეწველობა, რაც მოლიანად დანგრეული იყო ომის დროს, აღდგენილია ახალ ტექნიკურ ბაზაზე და აძლევა მეტ ლითონს, ვიდრე ომამდე. ერეკლეებოდა შავი მეტალურგიის შემდგომი განვითარება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. თუჯის წარმოება ურალში 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 2,6-ჯერ, ფოლადისა—2,7-ჯერ და ნაგლინის წარმოება—2,8-ჯერ. ციმბირში თუჯის წარმოება გადიდდა 1,2-ჯერ, ფოლადისა—1,7-ჯერ და ნაგლინისა—2-ჯერ. შავი ლითონების წარმოება მოეწყო შუა აზიასა და ამიერკავკასიაში. ფოლადისა და ნაგლინის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მოეხდადვად, შავი ლითონნებისა და განსაკუთრებით ზოგიერთი სახეობის ნაგლინის წარმოება ჩამორჩენა სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებებს.

შავ მეტალურგიაში უმაღლესდიდოდა წარმოების ტექნოლოგია. ფოლადის დნობის წარმოებაში ათვისებულია ენერგიული გამოყენება. ათვისებულია ახალი ტიპის მანქანებისა და ხელსაწყოების დასამზადებელი სპეციალური პროფილების ნაგლინისა და სპეციალური მარკების ფოლადის წარმოება. ფართო მასშტაბით განხორციელებულია შრომატევად და ძვირ სამუშაოთა მექანიზაცია და სწორმოო პროცესების ავტომატიზაცია. მნიშვნელოვან გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენება. ბაგალითად, შავი მეტალურგიის სამინისტროს ქარხნებში 1950 წლის დამლეგისათვის ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენება 1940 წელთან შედარებით გადიდდა 25 პროცენტით, ხოლო მარტენის ღუმელის ქვედის ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე ფოლადის მოგება—33 პროცენტით.

ფერადი მეტალურგიის დარგში ახალი მაღარეების, გამამდიდრებელი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობის, აგრეთვე მომქმედ საწარმოთა მუშაობის გაუქმჯობესების შედეგად სპილენძის, ალუმინის, ნიკელის, ტყვიის, თუთიისა და სხვა ფერადი და იშვიათი ლითონეების წარმოებამ მნიშვნელოვნად გადაჭარბა ომამდელ დონეს. მაგრამ სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა გამო აუცილებელია ფერადი ლითონების წარმოებისის ყოველ ეფექტურ სწრაფი ზრდა.

ქვანახშირის ამოღების ხუთწლიანი გეგმა შესრულებული გადაჭარბებით. 1950 წელს ქვანახშირის ამოღება ხუთწლიანი გეგმის დავალების 104 პროცენტს შეადგენს და 57 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს. ქვანახშირის ამოღების დონე, რაც ხუთწლიანი გეგმით დადგენილი იყო 1950 წლისათვის, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შტატებში მიღწეულია ვადამდე — 1949 წლის IV კვარტალში. ქვანახშირის შახტები აღდგენილია ომით დაზარალებულ რაიონებში. დონბასის შახტები მეტ ქვანახშირს იძლევიან, ვიდრე ომამდე, და მეტს, ვიდრე გათვალისწინებული ხუთწლედით. დონბასი კვლავ ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი და ყველაზე მექანიზებული ქვანახშირის აუზია. ქვანახშირის ამოღება მოსკოვის აუზში ერთისაპად გადიდდა ომამდელ დონესთან შედარებით. დონბასისა და მოსკოვის აუზის აღდგენასთან ერთად კვლავ ეთარეებოდა ქვანახშირის მრეწველობა ურალში, კუზნასში, ყარაგანდის აუზში და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში. ომისშოვლეთში 1950 წელს ამოღებულია ერთიერაად ნა უფრო მეტი ქვანახშირი, ვიდრე ომამდე. მნიშვნელოვნად გაფართოოდა ქვანახშირის ახალი ბაზა—პეჩორის აუზი. გადაჭარბებულია ტორფის მოპოვების ომამდელი დონე.

დამთავრებულია ქვანახშირის კაყეელის, მონგოლეთისა და მაზიდეის პროცესების მექანიზაცია, აგრეთვე ქვანახშირის მიწისქვეშა ტრანსპორტისა და რკინიგზის ვაგონებში დატვირთვის მექანიზაცია. შემენილი და დანერგილია ახალი მანქანები საწმენდ სანგრეებში ქვანახშირის ტვირთვის მექანიზაციისათვის, აგრეთვე მოსამზადებელ გვირაბებში ქვანახშირისა და ქანის დატვირთვისათვის. დაწყებულია სამუშაოები ქვანახშირის შახტების კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასაყვანად და ინერგება მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის დისტანციური და ავტომატური მართვა.

ნავთის მრეწველობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალება შესრულებულია გადაჭარბებით. 1950 წელს ნავთის ამოღება შეადგენდა ხუთწლიანი გეგმის დავალების 107 პროცენტს და 22 პროცენტით აღემატებოდა ომამდელ ამოღებას. მთლიანად აღდგენილი და ტექნიკურად ხელახლა აღჭურვილია მაიკოპისა და გროზნოს ნავთის რაიონების ნავთის მრეწველობა და დასავლეთ უკრაინის ნავთის მრეწველობა, რომლებიც ომის დროს დანგრეული იყო. გიგანტიკურ-სიძიანი სამეზათთა წარმატებიან განხორციელების შედეგად გამოვლენებულია და მომზადებულია ნავთისა და გაზის მნიშვნელოვანი სამრეწველო მარაგი. ფართოდ იბრძვება ახალი ტექნიკა ნავთის ამოღებაში, ჭაბურღილთა ბურღვასა და ნავთის გადამქუშავებაში. გაფართოოდა მაღალოქტანური საავიაციო სათბობისა და საავიაციო ზეთების წარმოებისა და გაუჯობესებულ ვაგონ-ცისტერნებისა ნავთპროდუქტების ხარისხი. აშენდა ახალი ნავთგადამქუშავებელი ქარხნები და დანადგარები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე საბჭოთა ტექნიკით, გაყვანილია ნედი მაგისტრალური ნავთსადენები. ამასთან ნავთის ამოღების სწრაფი ზრდა მოიითხოვს ახალი ნავთგადამქუშავებელი ქარხნების კიდევ უფრო დაჩქარებულ მშენებლობას.

სერიოზულად გადიდდა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის ნავთის ახალი რაიონების მნიშვნელობა. შეიქმნა ნავთის ახალი დიდი სარეზერვი და ნავთგადამქუშავებელი ქარხნები ბაშკირთის ასს რესპუბლიკაში. სწრაფად ვითარდება ნავთის ამოღება და გადამქუშავება კუიბიშევის ოლქში, ოურჭენეთის, უზბეკეთისა და ყაზახთის სს რესპუბლიკებში. აღმოჩენილია ნავთის ახალი დიდი საბადოები თიმოეთის ასს რესპუბლიკაში. აღმოსავლეთ რაიონების ხეზერიდან წონა საბჭოთა კავშირის ნავთის საერთო ამოღებაში 44 პროცენტით გადიდდა 1940 წლის 12 პროცენტთან შედარებით.

შემდგომი განვითარება ჰპოვა **გაზის** მრეწველობამ. აშენდა და ამუშავდა სარატოვ-მოსკოვის, დონბას-ყიევისა და კოტტლა-ინარეა-ლენინგრადის გაზსადენები. გაფართოდა **ხელოვნური თხევადი სათბობის** წარმოების საწარმოთა მშენებლობა.

ელექტროენერგიის გამომუშავების ხუთწლიანი გეგმის დავალება შესრულებულია გადაჭარბებით. ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებული ელექტროენერგიის წარმოების დონე მიღწეულია ვადამდე — 1949 წლის IV კვარტალში. ელექტროენერგიის გამომუშავება 1950 წელს ხუთწლიანი გეგმის დავალების 110 პროცენტს შეადგენდა და 87 პროცენტით აღემატებოდა 1940 წლის დონეს. ომით დაზარალებულ რაიონებში გამომუშავებული ელექტროენერგია, ვიდრე 1940 წელს.

აღდგენილია ომის დროს დანგრეული ელექტროსადგურები ბობრიბში, დნიეპროპეტროვში, კიევში, ხარკოვში, ლვოვში, ოდესაში, ნიკოლაევში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, კრასნოდარში, გროზნოში, სტალინგრადში, ეორონეჟში, ბრიანსკში, კალინინში, მინსკში, ვილნიუსში, რიგაში, ტალინში, პეტროზავოდსკსა და სხვა ქალაქებში. აღდგენილია ყველა ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 6 დიდი ჰიდროელექტროსადგური. აღდგენილია ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური. აშენდა და მთლიანად ამუშავდა ახალი ჰიდროელექტროსადგურები — შჩერბაკოვის, ნიესკის № 3, ფარხადის, ხრაპის, სოხუმის, კრასნოპოლეის, შოროკოესა და სხვები. გაბზარულელა დიდი სამშენებელო საქუშაოები ვერხნაია სვიერის, ფუტ-კამენგორსკესა, ვეიფშესა, ციმლიანსკაიას, ნოვსკის № 1, მატკოეროსა და სხვა ჰიდროელექტროსადგურებში, რაც უზრუნველყოფს მათს ამუშავებას 1951-1952 წლებში. ფართოდ გაჩაღებულია გორკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ვოლგაზე და მოლოტოვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა კამაზე. განხორციელდა ახალი თბოელექტროსადგურებისა და ელექტრონ და თბოგამსელთა მშენებლობა.

1946-1950 წლებში ელექტროსადგურებში განხორციელდა უახლესი ენერგეტიკული ტექნიკის დანერგვა. თბოელექტროსადგურებში დაიდგა საბჭოთა წარმოების მაღალი წნევის ორთქლის ტურბინები და ქვაბები, მათ შორის 25 ათასი კილოვატი სიმძლეობის მაღალი წნევის ახალი ტიპის თბოფიკაციის ტურბინები, 100 ატმოსფეროს წნევის და 510 გრადუსი ორთქლის ტემპერატურის დოლიანი ქვაბები, აგრეთვე ორთქლის იძავე პარამეტრების წინასწარდანიანი ქვაბები. დაინერგა წყალბადით გაცივებების გენერატორები, მაღალი ძაბვის ბაერის გამმართველები, მაღალი სიხშირის და სხვა თანამედროვე ტიპის დამცავები, აგრეთვე ელექტროსადგურებში წვისა და ქვაბების კვების პროცესების ავტომატიზაცია. რაიონული ჰიდროელექტროსადგურების ორ მესამედს აგრეგატების ავტომატიზებული მართვა აქვს.

მანქანათმშენებლობის დარგში დაზგების, მანქანებისა, მექანიზმებისა და ხელსაწყოების წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალება მთლიანად შესრულებულია 17 პროცენტის გადაჭარბებით. მანქანათმშენებლობის პროდუქციამ 1950 წელს 2,3-ჯერ გადააჭარბა 1940 წლის წარმოებას. მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოების დონე, რაც ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის იყო დადგენილი, მიღწეულია ვადამდე — 1950 წლის I კვარტალში.

მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების ზრდა ხდებოდა ახალ ტექნიკურ საფუძველზე. მანქანათმშენებელ

(ბაბრძელება მეორე გვერდზე)

ᲓᲐᲘᲜᲧᲝᲗ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲝᲠᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲐ

ᲚᲝᲜᲯᲘᲐ, 17 აპრილი. (საქფილი). 16 აპრილს ონაშირის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობამ შეუდგა ჩაის მწვანე ფოთლის მერჩეკვის კრეფას. სოფელ პირველი ბეღიას კოლმეურნეობა „ახალმა ცხოვრებამ“ პირველსავე დღეს მოკრიფა 380 კილოგრამი ჩაი.

ჩაის შერჩევითი კრეფა დაიწყეს აგრეთვე გალის რაიონის სოფელ ცხინოგალის სტალინის სახელობის, ტუბერხიაკის სტალინის სახელობისა და სოფელ ცხინოგალის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებსა, რომელებმაც პირველ დღეს ორას-ორასი და მეტი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 17 აპრილი. (საქფილი). აჭარაში დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. კრეფას პირველი შეუდგა ქობულეთის რაიონის ვორობლოვის სახელობის კოლმეურნეობა. ჩაის პლანტაციაში გასულმა ათობით ჩაის მკრეფველმა მოკრიფა 500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სულ უფრო ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს პირველი მაისისათვის სახელმწიფოს ჩააბარონ 33 ტონა ჩაის ფოთოლი.

ბობოყეთის ჩაის ფაბრიკამ გადასაშუშავებელად უკვე მიიღო ასობით კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება დღეს, 18 აპრილს, საღამოს 8 საათზე, გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრის შენობაში.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲘᲗᲮᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲯᲔᲯᲠᲘᲡ ᲘᲑᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ, 14 აპრილი. (საკფილი). ლიტვის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ლიტვურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეხუთე ტომი.

თარგმანი რუსულიდან ლიტვურ ენაზე შეასრულა ლიტვის კომუნისტური პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა—საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელსლენინის ინსტიტუტის ფილიალმა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ალექსანდრე ეპიფანეს-ძე კანდელაკი დანშნა საქართველოს წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი

სსრ კავშირის 1946-1950 წლების მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(გაგრძელება)

ქარხნებში ფართოდ გავრცელდა წარმოების მაღალეფექტიანი მეთოდები და ტექნოლოგიური პროცესები: დამუშავების ნაკადური და ავტომატური ხაზები, ავტომატებითა და ნახევარავტომატებით შედუღება მდნობის ფენის ქვეშ, დეტალების წრთობა მაღალი სიხშირის დენებით, ცენტრიდანული სხმა და კოკილად სხმა, ტვიფრვა, ლითონის ჭრის ჩქაროსნული მეთოდები.

ხუთწლედის მანძილზე მანქანათმშენებლობის დარგებმა ძირითადად განაახლეს გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურა. ათვისებულია 250-მდე ახალი ტიპის ლითონსაჭრელი დაზგები საერთო დანიშნულებისა, 1 ათასზე მეტი ტიპის სპეციალური და საგრეგატო დაზგები, 23 ტიპის ავტომატები და ნახევარავტომატები, 34 ტიპის სამჭედლო-საწნეხო ავტომატები, მძლავრი პნევმატური საყალიბო მანქანები, ცენტრიდანული სხმულის წნევით სამსხმელო მანქანები. შექმნილია 26 ავტომატური სადაზგო ხაზი და ავტომობილის დეტალების დამამზადებელი ავტომატური ქარხანა.

1950 წელს მეტალურგიული მოწყობილობის წარმოება 1940 წელთან შედარებით გადიდდა 4,8-ჯერ, ორთქლის ტურბინების გამოშვება — 2,6-ჯერ, ელექტრომოწყობილობის წარმოება—3-ჯერ. სათბობის მრეწველობისათვის მზადდებოდა ქვანახშირის კომბაინები, ქანსატვირთავი და ქვანახშირსატვირთავი მანქანები, ღრმა ბურღვის ნავთსაბურღავი დანადგარები, ტალახის მძლავრი ტუმბოები და სხვა მრავალი სახეობის მაღალი წარმადობის მოწყობილობა. ნავთის აპარატურის წარმოება 1950 წელს ერთისამად გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

რკინიგზის ტრანსპორტის საჭიროებისათვის ათვისებული და ორგანიზებულია ახალი სამაგისტრალო საბარგო ორთქლმავლების, ელექტრომავლების, თბომავლების, დუმპკარების, მთლიანლითონის გონდოლებისა და იზოთერმული ვაგონების, მთლიანლითონის სამგზავრო ვაგონების წარმოება.

ტრაქტორების გამოშვება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 3,8-ჯერ, კომბაინებისა—3,6-ჯერ, ტრაქტორის გუთნებისა—3,1-ჯერ, ტრაქტორის სათესებისა—5,5-ჯერ, ტრაქტორის კულტივატორებისა — 3,1-ჯერ. ათვისებული და მასობრივი წარმოებისათვის მიღებულია 150-ზე მეტი ახალი მაღალი წარმადობის სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

მაგრამ ენერგეტიკული მოწყობილობის, მძიმე ლითონსაჭრელი და სამჭედლო-საწნეხო მოწყობილობის, ნავთის მრეწველობისათვის რთული მოწყობილობისა და ზოგიერთი სახის ხელსაწყოს წარმოების მიღწეული დონე ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ქიმიური მრეწველობის დარგში ხუთწლიანი გეგმა 1950 წლისათვის ითვალისწინებდა წარმოების ომამდელი დონის ერთნახევარჯერ გადაჭარბებას. ფაქტიურად ქიმიური მრეწველობის პროდუქციამ ომამდელ დონეს გადააჭარბა 1,8-ჯერ. აზოტიანი სასუქების წარმოების ომამდელი დონე 1950 წელს გადაჭარბებულია 2,2-ჯერ და კალიუმიანი სასუქების წარმოების დონე—1,4-ჯერ, ესე იგი შესრულებულია უფრო მეტი გადაჭარბებით, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. ფოსფატიანი სასუქების წარმოება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 1,9-ჯერ. ომამდელ დონესთან შედარებით გადიდებულია სინთეზური კაუჩუკის წარმოება.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ათვისებულ იქნა ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის, პლასტიკური მასების, ლაქსაღებავების, ფარმაცევტული და ქიმიური მრეწველობის სხვა დარგებისათვის. საღებავთა წარმოების ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. გამოშვებული მარკების საღებავთა რაოდენობა 1950 წელს გაიზარდა 320 სახელწოდებამდე, მაშინ როცა 1940 წელს მათ სახელწოდებათა რაოდენობა 186-ს შეადგენდა. ამასთან გადიდდა მაღალხარისხოვან და გამძლე საღებავთა წარმოება. ათვისებულია მრავალფერადი კინოაფსკის წარმოება.

საშენ მასალათა წარმოებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა. ცემენტის წარმოება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 1,8-ჯერ, ფანჯრის მინისა — 1,9-ჯერ. ცემენტის წარმოების დავალება, რაც ხუთწლიანი გეგმით დადგენილი იყო 1950 წლისათვის, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შეასრულა 101 პროცენტით, ხოლო მთლიანად სსრ კავშირში შესრულებულია 97 პროცენტით. მთლიანად არ შესრულებულა ხუთწლიანი გეგმის დავალება აგურისა და კრამიტის წარმოების დარგში. საშენ მასალათა წარმოება და მათი ხარისხი ჯერ კიდევ ჩამორჩება სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

ხატყეო მრეწველობაში სამასალე მერქნის გამოზიდვა 1950 წელს 1940 წელთან შედარებით 36 პროცენტით გადიდდა. მაგრამ ხუთწლიანი გეგმის დავალება მთლიანად არ შესრულებულა. ხუთწლიანი გეგმის დავალება სატყეო მრეწველობისათვის მანქანებისა და მექანიზმების მიწოდების დარგში შესრულებულია გადაჭარბებით, მაგრამ, მექანიზმების არადამაკმაყოფილებელი გამოყენების შედეგად, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი ხე-ტყის დამზადების მრეწველობაში ხუთწლედის მანძილზე საკმაო არ იყო. ქაღალდის წარმოება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 47 პროცენტით.

1946-1950 წლების პერიოდში ხორციელდებოდა საფეიქრო, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლისა და **მსუბუქი მრეწველობის** სხვა დარგების სწრაფი აღდგენა და განვითარება. 1950 წელს მრეწველობის ამ დარგების პროდუქცია 1940 წელთან შედარებით გადიდდა 17 პროცენტით. მსუბუქი მრეწველობის ძირითად ნაკეთობათა წარმოება ხუთწლედის მანძილზე გადიდდა: ბამბის ქსოვილებისა—2,4-ჯერ, შალის ქსოვილებისა—2,9-ჯერ, წინდის ნაწარმისა—5,2-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 3,2-ჯერ, რეზინის ფეხსაცმლისა—7-ჯერ, მაგრამ ხუთწლიანი გეგმის დავალება ბამბის ქსოვილებისა და ფეხსაცმლის გამოშვების დარგში მთლიანად არ შესრულებულა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული და გაფართოებულია ქსოვილების, სამკერვალო, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ფეხსაცმლის ასორტიმენტი.

კვების მრეწველობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ხუთი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1950 წელს ერბო-კარაქის წარმოების ომამდელი დონე გადაჭარბებულია 57 პროცენტით, მცენარეული ზეთის და სხვა ცხიმეულისა—10 პროცენტით, ხორცისა — 7 პროცენტით, თევზის ჭერისა—27 პროცენტით, ძეხვეულის წარმოებისა—20 პროცენტით, კონსერვებისა—48 პროცენტით, შაქრისა—17 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა—23 პროცენტით და საპნისა—16 პროცენტით. კვების პროდუქტების ასორტიმენტი გაფართოვდა და ხარისხი გაუმჯობესდა. 1950 წელს უმაღლესი ხარისხის პროდუქცია კარაქის მთელ წარმოებაში შეადგენდა 75 პროცენტს და ყველის წარმოებაში 42 პროცენტს. დიეტური პროდუქტების დამზადება ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა 5-ჯერ, საბავშვო პროდუქტებისა—5,7-ჯერ, ვიტამინებისა — 10,4-ჯერ.

ადგილობრივმა მრეწველობამ და სარეწაო კოოპერაციამ საერთო პროდუქციის გამოშვება 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით გაადიდეს 1,5-ჯერ. მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული ადგილობრივი სახეობის ნედლეული ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები მოწინავე საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილ საწარმოთა აღდგენის, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის შედეგად 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 58 პროცენტით. ამასთან დაზგების პარკი ახალი, უფრო ნაყოფიერი დაზგებით შევსების გზით ხუთწლედის დამლევისათვის 1940 წელთან შედარებით ერთიორად და კიდევ მეტად გაიზარდა. შრომის ელექტროაღჭურვილობა მრეწველობაში ერთ მუშაზე გაანგარიშებით 1950 წელს 1940 წელთან შედარებით ერთნახევარჯერ გადიდდა.

ახალი ტექნიკის წარმატებით დანერგვამ შესაძლებელი გახადა სახალხო მეურნეობის შემდგომი ტექნიკური ხელახალი შეიარაღების დიდი მასშტაბით განხორციელება და შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება. ამასთანავე, ტექნიკურმა პროგრესმა, მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების კვალიფიკაციის ამაღლებამ და შემოქმედებითმა ინიციატივამ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა. მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1950 წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 36 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 37 პროცენტით. შრომის ნაყოფიერებამ მშენებლობაში 1950 წელს 23 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

მრეწველობაში მოწყობილობის უკეთ გამოყენების, ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის უფრო მომჭირნეობით ხარჯვის, მასალების დანაკარგისა და ნარჩენების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარების შედეგად შესრულებულია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების **შემცირების** დარგში ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დადგენილი დავალება.

მთლიანად არ შესრულებულა ხუთწლიანი გეგმის დავალება სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირების დარგში. **მშენებლობის ღირებულება**, მიუხედავად კაპიტალურ სამუშაოთა მნიშვნელოვანი ზრდისა, ჯერ კიდევ მაღალია. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ 1950 წელს მიიღო მშენებლობის გაიაფებისა და დაპროექტების გაუმჯობესების, საშენ მასალათა წარმოების ზრდის, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და მომარაგების დარგში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება სოფლის მეურნეობის დარგში

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების შედეგად სოფლის მეურნეობამ ახალ მძლავრ აღმავლობას მიაღწია. ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა და უფრო მეტად განმტკიცდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, გაიზარდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადიდდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი საკოლმეურნეო წარმოებაში, მომზადდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზატორების, მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და მექანიზაციის ოსტატების ახალი კვალიფიციური კადრები.

მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი ხუთწლედის მანძილზე 20 პროცენტით და მეტით გადიდდა. მარცვლეულის საერთო მოსავალმა 1950 წელს 345 მილიონი ფუთით გადააჭარბა 1940 წლის დონეს, ამასთან ხორბლის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდა 376 მილიონი ფუთით. ხუთწლიანი გეგმის დავალება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის დარგში შესრულებულია გადაჭარბებით. 1949 და 1950 წლებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 13 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს.

ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი ხუთწლედის მანძილზე გადიდდა 59 პროცენტით. აქედან ბამბის ნათესი—91 პროცენტით, საბოჭკოე სელისა—90 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა—57 პროცენტით, მზესუმზირისა—23 პროცენტით. ბამბის საერთო მოსავალი ხუთწლედის განმავლობაში გადიდდა 2,9-ჯერ, საბოჭკოე სელისა—ერთიორად და უფრო მეტად, შაქრის ჭარხლისა—2,7-ჯერ, მზესუმზირასი—70 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში სერიოზული ნაკლია ჯერ კიდევ დიდი დანაკარგები მოსავლისა და განსაკუთრებით მარცვლეულის, საბოჭკოე სელისა და შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების დროს.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესი ფართობი 1940 წელთან შედარებით გადიდდა 5 პროცენტით, ხოლო კარტოფილის საერთო მოსავალმა 1950 წელს 21 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ხუთწლედის განმავლობაში შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ხარკოვის, კიევის, გორკის გარშემო, ურალის, დონბასისა და კუზბასის სამრეწველო ცენტრების, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქების, აგრეთვე სხვა დიდი ქალაქების გარშემო კარტოფილ-ბოსტნეულის ბაზების შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

საკვები კულტურების ნათესი ფართობი 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 15 პროცენტით, მაგრამ მრავალწლიანი ბალახების ფართობის გადიდების დარგში ხუთწლიანი გეგმის დავალება მთლიანად არ შესრულებულა და საკვებთა წარმოება ჩამორჩება მეცხოველეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

მეცხოველეობაში ხუთწლიანი გეგმის დავალებანი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდის მხრივ შესრულებულია გადაჭარბებით. კოლმეურნეობათა პროდუქტიული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ომამდელი დონე მნიშვნელოვნად არის გადაჭარბებული: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 40 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 63 პროცენტით, ღორისა — 49 პროცენტით, ფრინველისა — ერთიორად. ყველა კატეგორიის მეურნეობებში — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების მეურნეობებში — პროდუქტიული პირუტყვის საერთო სულადობა, რაც ომის დროს მკვეთრად შემცირდა, აღდგენილია და 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 4 პროცენტით, ხოლო ფრინველის სულადობა — 14 პროცენტით. ხუთწლედის მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მეცხოველეობაში საჯიშე საქმის გაუმჯობესებისათვის; გაფართოვდა საჯიშე საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო ჯიშსაშენებისა და კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმების ქსელი.

გადიდდა სოფლის მეურნეობის **ტექნიკური აღჭურვილობა**. ხუთწლედის მანძილზე სოფლის მეურნეობამ მიიღო 536 ათასი ტრაქტორი თხუთმეტძალიანზე გადაყვანით, 93 ათასი მარცვლეულის კომბაინი (მათ შორის 39 ათასი თვითმავალი კომბაინი), 341 ათასი სატრაქტორო გუთანი, 254 ათასი სატრაქტორო სათესი მანქანა, 249 ათასი სატრაქტორო კულტივატორი და ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი და მოსავლის ასაღები სხვა მანქანების დიდი რაოდენობა. ამავე დროს ბამბის, სელისა და კანაფის, შაქრის ჭარხლის მოსავლის ასაღები, საკვების მოპოვებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო მანქანებით სოფლის მეურნეობის მომარაგებაში ჩამორჩენაა. მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციისათვის. სოფლის ელექტროსადგურების სიმძლავრე 1950 წლის დამლევისათვის 1940 წელთან შედარებით გადიდდა 2,8-ჯერ.

დიდი წარმატებებია მიღწეული **მიწათმოქმედების კულტურის** ამაღლებაში: გაძლიერებულია მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინდვრის და საკვები ნათესბალახიანი სწორი თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისებისათვის; კოლმეურნეობებში მთელი ანეულისა და მზრალის 90 პროცენტზე მეტი 1950 წელს ტრაქტორებით მოიხნა; წინასახნისიანი გუთნებით მოხნულია ტრაქტორებით მოხნული მთელი ფართობის 87 პროცენტი, ნაცვლად 1940 წლის 13 პროცენტისა; მზრალადხნულსა და სუფთა ანეულში საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში 1950 წელს შეადგენდა მთელი ფართობის 63 პროცენტს, ნაცვლად 1940 წლის 54 პროცენტისა; მარცვლეული კულტურების ჯიშიანი ნათესები ხუთწლედის მანძილზე გადიდდა 64 პროცენტით, ხოლო ხორბლისა — ერთიორად; მარცვლეული კულტურების მთელი ფართობის ნახევარი კოლმეურნეობებში 1950 წელს აღებულია კომბაინებით.

წარმატებით ხორციელდება **მინდორსაცავი ტყის გაშენების** დავალება. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, სატყეო მეურნეობებმა და ტყესაცავმა სადგურებმა, რომლებიც ახორციელებენ ბუნების გარდაქმნის სტალინურ გეგმას, დარგეს და დათესეს 1.350 ათასი ჰექტარი მინდორსაცავი ტყეები, აქედან 1950 წელს — 760 ათასი ჰექტარი.

შესრულებულია ხუთწლიანი გეგმის დავალებანი **საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის** დარგში. საბჭოთა მეურნეობებმა ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაადიდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობი. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ 1950 წელს 16 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის მოსავლიანობას. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ძირითადად დამთავრებულია მინდვრის სამუშაოთა მექანიზაცია. 1950 წელს ხვნის, თესვისა და მარცვლეული კულტურების აღების სამუშაოთა 95 პროცენტზე მეტი მექანიკური წევით შესრულდა. 1950 წლის დამლევისათვის სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იყო 20 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდე, თხა და ცხვარი — 29 პროცენტით და ღორი — 36 პროცენტით მეტი. მნიშვნელოვნად გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა. ერთი ძროხის საშუალო წველადობამ 1950 წელს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 1940 წლის დონეს 28 პროცენტით გადააჭარბა.

ხუთწლედის მანძილზე დიდი მუშაობა შესრულდა **კოლმეურნეობათა შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა** და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციისათვის; განხორციელებულია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების, მუდმივი საწარმოო ბრიგადის, როგორც სარტელო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის, განმტკიცების ღონისძიებანი; მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა და გადიდდა შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1950 წლისათვის 1940 წელთან შედარებით 1,6-ჯერ გადიდდა.

ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთი ოლქების გლეხურ მეურნეობებს, რომლებიც გერმანელთა ოკუპაციაში მოხვდნენ, საბჭოთა კავშირმა დიდი საწარმოო დახმარება გაუწია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განმტკიცების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობის, ტრაქტორებისა და მანქანების, მინერალური სასუქების მიწოდებისა და კრედიტების მიცემის საქმეში. ხუთწლედის ბოლოსათვის ამ რაიონებში ნებაყოფლობის საფუძველზე ძირითადად დამთავრდა გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია.

სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებამ, მისმა დიდმა საქონლიანობამ უზრუნველყო პურის, ხორცის, რძისა და სხვა სასურსათო პროდუქტების მხრივ მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შემოსავლის გადიდება.

მარცვლეული და ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდებამ და მეცხოველეობის პროდუქციის ზრდამ შექმნა მტკიცე სანედლეულო ბაზა მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

რკინიგზის ტრანსპორტმა ხუთწლედის მანძილზე უზრუნველყო სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება ტვირთზიდვის დარგში. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის დარგში 1950 წლისათვის დადგენილი დავალება შესრულდა 13 პროცენტის გადაჭარბებით. სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე 1950 წელს 121 პროცენტს შეადგენდა 1940 წლის დონესთან შედარებით და 103 პროცენტს ხუთწლიანი გეგმის დავალებასთან შედარებით.

შრომის მოწინავე მეთოდებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რკინიგზების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება. 1950 წელს საქონლის ვაგონის დატვირთვა 1940 წელთან შედარებით გადიდდა 14 პროცენტით, სატვირთო მატარებლის საშუალო წონა 1940 წელთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით. საქონლის ვაგონის საშუალო სადღეღამისო გარბენმა ომამდელ დონეს გადააჭარბა 4,6 პროცენტით. ვაგონის ბრუნვა ხუთწლედში დაჩქარებულ იქნა, მაგრამ 1950 წელს კიდევ ვერ მიაღწია ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დონეს. ომით დაზარალებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის და არარაციონალური ტვირთზიდვის ლიკვიდაციისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ტვირთთა გადაზიდვის საშუალო სიშორე ხუთწლედში შემცირდა, მაგრამ მთლიანად არ შესრულებულა ტვირთთა გადაზიდვის სიშორის შემცირების დარგში 1950 წლისათვის დადგენილი დავალება.

ომისშემდგომი ხუთწლედის გადამწყვეტი ამოცანა იყო სამუშაოთა შესრულება იმ დიდი ნგრევის სალიკვიდაციოდ, რაც რკინიგზის ტრანსპორტს ომმა მიაყენა. ხუთწლედის მანძილზე მეორე ლიანდაგების, ხიდების, სადგურებისა და კვანძების აღსადგენად გაწეულმა მუშაობამ უზრუნველყო რკინიგზების მთავარ მიმართულებათა საჭირო გამტარუნარიანობა. მნიშვნელოვნად განახლდა და შეივსო ლოკომოტივთა პარკი ახალი სერიების ორთქლმავლებით, თბომავლებით და ელექტრომავლებით, აგრეთვე ვაგონების პარკი. გაყვანილია ახალი რკინიგზები, კერძოდ, ჩრდილოეთისა და შუა აზიის რაიონებში. ელექტროფიცირებულია მთელი რიგი რკინიგზის ხაზები ურალში, ამიერკავკასიასა და კრივოიროგში, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, კიევის, ბაქოს და ტალინის რკინიგზათა კვანძების საგარეუბნო უბნებზე. მაგრამ ხუთწლიანი გეგმის დავალება რკინიგზების, ხიდებისა და ვაგზლების აღდგენისა და მშენებლობის დარგში მთლიანად არ შესრულებულა.

სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 1950 წელს 26 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს, მაგრამ ვერ მიაღწია ხუთწლიანი გეგმით დადგენილ დონეს. გაუმჯობესდა ვოლგისა და მისი შენაკადების, აგრეთვე ციმბირისა და ჩრდილოეთის მდინარეების სატრანსპორტო გამოყენება. საბუქსირო ფლოტის სიმძლავრის გამოყენება 1940 წელთან შედარებით გადიდდა 30 პროცენტით, ხოლო არათვითმავალი ფლოტის ტვირთამწეობის გამოყენება გადიდდა 43 პროცენტით. მნიშვნელოვნად განახლებული და შევსებულია სამდინარო ფლოტი. აღდგენილია სტალინის სახელობის თეთრი ზღვა-ბალტიის ზღვის არხი და დნეპრ-ბუგის სანაოსნო გზა, აგრეთვე სამდინარო ნავსადგურები და გემთსარემონტო საწარმოები.

საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1950 წელს 65 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით, მაგრამ ხუთწლიანი გეგმის დავალება საზღვაო ტვირთზიდვის დარგში მთლიანად არ შესრულებულა. ძირითადად დამთავრებულია საზღვაო ნავსადგურებისა და გემთსარემონტო ქარხნების აღდგენის სამუშაოები. საზღვაო ფლოტის სამინისტროს გემთსარემონტო ქარხნებისა და სახელოსნოების სიმძლავრე 1950 წელს ერთიორად და კიდევ მეტად გადიდდა 1940 წელთან შედარებით, ხოლო გემების ამოსაღებ ნაგებობათა რაოდენობა — 1,6-ჯერ.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1950 წელს 2,3-ჯერ გადიდდა 1940 წელთან შედარებით. გაყვანილია 16 ათასი კილომეტრი საავტომობილო გზები მაგარი საფარველით. საექსპლოატაციოდ გადაცემულია საავტომობილო მაგისტრალი მოსკოვი-სიმფეროპოლი. გაუმჯობესებულ საფარველიანი საავტომობილო გზების ქსელი ხუთწლედის ბოლოსათვის 2,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ომამდე.

ხუთწლედის მანძილზე აღდგენილია **კავშირგაბმულობისა და რადიოს** საშუალებანი და უზრუნველყოფილია მათი შემდგომი განვითარება ახალი ტექნიკის ბაზაზე. სატელეფონო სადგურების სიმძლავრემ ომამდელ დონეს გადააჭარბა. რადიომაუწყებელი სადგურების მშენებლობის გეგმა ხუთწლედის მანძილზე შესრულებულია 39 პროცენტის გადაჭარბებით. გადიდდა რადიომიმღები ქსელი. მაგისტრალური კაბელის აღდგენისა და გაყვანის გეგმა ხუთი წლის მანძილზე შესრულებულია 23 პროცენტის გადაჭარბებით. ავიასაფოსტო ხაზების სიგრძე 1940 წელთან შედარებით 2,3-ჯერ გადიდდა.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება ნაციონალური შემოსავლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დარგში

ხუთწლიანი გეგმის დავალება **ნაციონალური შემოსავლის** გადიდების დარგში მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულდა. ხუთწლიანი გეგმით დასახული იყო ნაციონალური შემოსავლის ომამდელი დონის 38 პროცენტით გადამეტების ამოცანა. ფაქტიურად ნაციონალური შემოსავალი 1950 წელს 1940 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, გადიდდა 64 პროცენტით. ნაციონალური შემოსავლის ზრდამ საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობა, გაგვეხორციელებინა დიდი კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში და დაგვეგროვებინა საჭირო სახელმწიფო მატერიალური და სასურსათო რეზერვები.

მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაციონალური შემოსავლის ნახევარზე მეტს კაპიტალისტთა კლასი ითვისებს, საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნით. ამასთან სსრ კავშირის მშრომელებმა თავიანთი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 1950 წელს მიიღეს ნაციონალური შემოსავლის 74 პროცენტი, ხოლო ნაციონალური შემოსავლის დანარჩენი 26 პროცენტი დარჩა სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების განკარგულებაში სოციალისტური წარმოების გაფართოებისა და სხვა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი

სსრ კავშირის 1946-1950 წლების მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

საერთო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

ნაციონალური შემოსავლის ზრდის შედეგად **სახელმწიფო ბიუჯეტი** წლითიწლობით სრულდებოდა გასავალზე შემოსავლის გადამეტებით. სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალში განუხრელად იზრდებოდა სახალხო მეურნეობის დაფინანსებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხარჯების წილი.

ნაციონალური შემოსავლის ზრდისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულების შედეგად სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია 22 პროცენტის გადამეტებით. 1946-1950 წლების განმავლობაში აღდგენილ იქნა, აშენდა და ამუშავდა 6.000-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, გარდა წვრილი სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო საწარმოებისა.

იმავე მიზეზებმა საშუალება მოგვცეს გაგვეხორციელებინა 1947 წლის დეკემბერში ფულის რეფორმა და ყველა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბარათო სისტემის გაუქმება. 1947-1950 წლების განმავლობაში სამჯერ განხორციელდა მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირება და მომზადდა პირობები, რომ 1951 წლის 1 მარტიდან განხორციელებულიყო ფასების ახალი შემცირება. ამან უზრუნველყო მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის რეალური ხელფასის სერიოზული გადიდება და გაიაფებული სამრეწველო საქონლის შესასყიდად გლეხთა ხარჯების შემცირება, გამოიწვია მანეთის კიდევ უფრო განმტკიცება, მისი მყიდველობითი უნარის გადიდება და საბჭოთა მანეთის კურსის გაუმჯობესება უცხოეთის ვალუტების მიმართ.

ხუთწლიანი გეგმის შესრულება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დარგში

საბჭოთა კავშირში უმუშევრობა არ ყოფილა და არ არის. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან ყველა დემობილიზებული სავსებით უზრუნველყოფილ იქნა სამუშაოთი თავისი კვალიფიკაციისა და სპეციალობის შესაბამისად. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში **მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობამ** 1950 წლის დამლევისთვის 39 მილიონ 200 ათასს მიაღწია და 1940 წლის დამლევისთვის არსებულ რაოდენობასთან შედარებით 7 მილიონი 700 ათასით გაიზარდა.

გაუმჯობესდა სსრ კავშირის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა, რამაც თავისი გამოხატულება პოვა მუშათა და მოსამსახურეთა ფულადი და რეალური ხელფასის ზრდით და გლეხთა როგორც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობის, ისე საკარმიდამო და პირადი მეურნეობის შემოსავლის გადიდებით. მუშათა და მოსამსახურეთა შემოსავლის და გლეხთა შემოსავლის საერთო თანხა 1950 წელს 1940 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, გადიდდა 62 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა **სახელმწიფო ხარჯები მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.** მოსახლეობამ სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო სოციალური დაზღვევისა და სხვა სახის დახმარება, სოციალური დაზღვევის პენსიები, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებათა საგზურები უფასოდ და შეღავათიან ფასებში, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო სწავლება და მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სახელმწიფოს ხარჯზე, მოსწავლეთა სტიპენდიები და სხვა სახის მთელი რიგი დახმარება და შეღავათები. შემდეგ, ყველა მუშა და მოსამსახურე ყოველწლიურად იღებდა ხელფასის შენარჩუნებით სულ ცოტა ორი კვირის შვებულებას, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკები — უფრო ხანგრძლივ შვებულებას. 1950 წელს მოსახლეობამ ზემოხსენებული დახმარება და შეღავათები სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო 120 მილიარდ მანეთზე მეტის რაოდენობით, ესე იგი სამჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ხალხის მატერიალური მდგომარეობის აღმავლობასთან ერთად ომისშემდგომ პერიოდში მიღწეულია **კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომი აყვავება.**

დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი ხუთწლედის მანძილზე 8 მილიონით გადიდდა და 1950 წელს 37 მილიონს მიაღწია. ამასთან ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 1950 წელს სწავლობდა 1 მილიონ 298 ათასი კაცი, ნაცვლად 1940 წლის 975 ათასი კაცისა. უმაღლეს სასწავლებლებში 1950 წელს სწავლობდა 1 მილიონ 247 ათასი სტუდენტი, ნაცვლად 1940 წლის 812 ათასისა. სახალხო მეურნეობამ ხუთი წლის განმავლობაში მიიღო უმაღლესი განათლების მქონე 652 ათასი და საშუალო განათლების მქონე 1 მილიონ 278 ათასი სპეციალისტი. სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა რიცხვი 1940 წელთან შედარებით 84 პროცენტით გადიდდა.

გასული ხუთწლედის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა უდიდესი აღმოჩენები და გამოგონებანი მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში. მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომების, გამოგონებებისა და მიღწევებისათვის ხუთწლედის განმავლობაში 6.500-ზე მეტ კაცს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება. სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ქსელმა 1950 წელს 1,5-ჯერ გადააჭარბა ომამდელს, ხოლო ამ დაწესებულებების მეცნიერ მუშაკთა რიცხვი თითქმის ერთიორად გადიდდა.

აღდგენილ იქნა და ომამდელ ოდენობას გადააჭარბა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელმა. 1950 წელს ქალაქად და სოფლად კლუბები და მასობრივი ბიბლიოთეკები 15 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს. წიგნების ტირაჟი ჩვენს ქვეყანაში 1940 წელთან შედარებით 84 პროცენტით გადიდდა. კინოდანადგართა რიცხვი 1950 წლის დამლევისათვის 1,5-ჯერ გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

ომისშემდგომ პერიოდში მიღწეულია მოსახლეობის **სამკურნალო და სანატორიულ-პროფილაქტიკური მომსახურების** შემდგომი გაუმჯობესება. საავადმყოფოების საწოლთა რიცხვი ქალაქებსა და სოფელ ადგილებში 1950 წელს 25 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით. აღდგენილია ომის დროს დანგრეული სანატორიუმები. ჩვენს ქვეყანაში ექიმთა რაოდენობა 1940 წელთან შედარებით 75 პროცენტით გადიდდა.

მიღწეულია სერიოზული წარმატებანი **საბჭოთა ვაჭრობის** განვითარების საქმეში. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. 1950 წელს სახელმწიფო და კოოპერაციულ მაღაზიებში, ადგილობრივი რესურსების საქონლის გაყიდვის ჩაუთვლელად, 1940 წელთან შედარებით გაიყიდა: ხორცი და ხორცის პროდუქტები — 38 პროცენტით მეტი, თევზის პროდუქტები — 51 პროცენტით, ერბო-კარაქი — 59 პროცენტით, მცენარეული ზეთი და სხვა ცხიმეული — 67 პროცენტით, შაქარი — 33 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმი—34 პროცენტით, ფეხსაცმელი—39 პროცენტით, ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სელის ქსოვილები — 47 პროცენტით, წინდის ნაწარმი — 39 პროცენტით მეტი. მეტი რაოდენობით მიეყიდა მოსახლეობას კულტურული და საოჯახო საქონელი. 1950 წელს გაიყიდა ომამდელ 1940 წელთან შედარებით: საათები— 3,3-ჯერ მეტი, რადიომიმღებები — 6-ჯერ, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები — 1,5-ჯერ, ველოსიპედები — 2,9-ჯერ, საკერავი მანქანები — თითქმის 3-ჯერ, მოტოციკლები — 16-ჯერ მეტი; რამდენჯერმე გადიდდა საშენი მასალების გაყიდვა სოფლად.

საკოლმეურნეო ვაჭრობის მოცულობა 1950 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა 1940 წელთან შედარებით. საკოლმეურნეო ბაზრის ფასები ბარათების გაუქმებისა და ფულის რეფორმის განხორციელების შემდგომ პერიოდში შემცირდა.

ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე ფართოდ გაჩაღდა **საბინაო მშენებლობა.** სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენეს და აღადგინეს საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 100 მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში აღდგენილ იქნა და აშენდა 2 მილიონ 700 ათასი საცხოვრებელი სახლი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი
სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

1951 წლის 16 აპრილი.

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ც ნ ო ბ ე ბ ი

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს 1951 წლის 16 აპრილის სხდომების შესახებ

დილის სხდომა

16 აპრილს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ლ. ნ. სოლოვიოვი.**

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რუსეთის სფსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და რუსეთის სფსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **გ. პ. კოვალევსკი** (დიმიტრიევის საარჩევნო ოლქი, კურსკის ოლქი), დეპუტატი **ი. ა. კაიროვი** (ბოხვისტნევოს საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი), დეპუტატი **ზ. ი. გორიაინოვა** (ყიზლარის საარჩევნო ოლქი, გროზნოს ოლქი), დეპუტატი **ი. ვ. კომზინი** (მოლოტოვის საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი), დეპუტატი **მ. არბულიევი** (ბუინაკსკის ოლქი, დაღისტნის ასს რესპუბლიკა), დეპუტატი **ა. ე. მატვეევა** (ბორზიას საარჩევნო ოლქი, ჩიტის ოლქი), დეპუტატი **ი. ვ. გუსევი** (რიაზანის საქალაქო საარჩევნო ოლქი, რიაზანის ოლქი), დეპუტატი **გ. ი. სუხარევი** (კოვროვის საარჩევნო ოლქი, ვლადიმირის ოლქი), დეპუტატი **ნ. ნ. ზაიცევი** (სტალინის ოლქი, ქალაქი მოლოტოვი), დეპუტატი **პ. რომაშკოვა** (ქვემო-ამურის ოლქი, ხაბაროვსკის მხარე), დეპუტატი **მ. დ. კოვრიგინა** (ბუზდიაკის ოლქი, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკა), დეპუტატი **ვ. ნ. ჩირკოვი** (გლაზოვის ოლქი, უდმურტეთის ასს რესპუბლიკა).

ამით მთავრდება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სხდომა.

საღამოს სხდომა

16 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ლ. ნ. სოლოვიოვი.**

სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რუსეთის სფსრ 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და რუსეთის სფსრ 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ა. ხ. ბორისენკო** (პუგაჩოვის საარჩევნო ოლქი, სარატოვის ოლქი), დეპუტატი **ს. ქ. ლამაკინი** (კაშინის საარჩევნო ოლქი, კალინინის ოლქი), დეპუტატი **ა. პ. დანილოვა** (იაკუტსკის ცენტრალური ოლქი, იაკუტიის ასს რესპუბლიკა), დეპუტატი **მ. ზ. აზიზოვი** (მერემეტიევკის ოლქი, თათრეთის ასს რესპუბლიკა), დეპუტატი **ნ. ნ. მიროტვორცევი** (მამადიშის ოლქი, თათრეთის ასს რესპუბლიკა), დეპუტატი **გ. რ. ბრანტი** (კრასნაია გორბატკის საარჩევნო ოლქი, ვლადიმირის ოლქი), დეპუტატი **ა. მ. სალანოვი** (არზამასის საარჩევნო ოლქი, გორკის ოლქი), დეპუტატი **დ. პ. პროფერანსოვი** (ორსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ჩკალოვის ოლქი), დეპუტატი **ი. გ. შკარბანი** (კიროვის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ნოვოსიბირსკი).

ამით მთავრდება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სხდომა.

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

საჩხერელ და ცაგერელ მშენებელთა შეჯიბრება

თბილისის წყალსაცავის აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებით გაყვანილია არხი და დაწყებულია მისი დაბეტონება. დაწყებულია აგრეთვე მუშაობა არხიდან წყალსაცავში წყლის გადასაშვების მოსაწყობად, მაგრამ მთავარ სამუშაოდ და სამურ საქმედ ითვლება ამ უბანზე არსებულ ორ გორაკში საარხე გვირაბების გაყვანა.

პირველი გვირაბის გაყვანა და დაბეტონება ძირითადად დამთავრებულია. მხოლოდ წვრილმანი სამუშაოები დარჩა აქ შესასრულებელი, და ამიტომაა, რომ უბნის ხელმძღვანელები— ინჟინრები დავით ქლენტი და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი ახლა თავს უყრიან მთის განკარგულებაში არსებულ ყველა ძალას მეორე საარხე გვირაბის დამთავრების დასაჩქარებლად. გვირაბი გასუფთავებული და გასასწორებელია, და, რაც მთავარია, დასაბეტონებელია. ეს სამუშაო უბნის კოლექტივმა უნდა შეასრულოს უმოკლეს ვადაში, რათა გვირაბის შიგნითა მოპირკეთება (წყლის გაჟონვის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად) უახლოეს 2-3 თვეში დაამთავროს.

ეს არის ახლა თბილისის წყალსაცავის აუზის მშენებელთა უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანა.

საუბნო პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ალ. არაბიძე) დიდი დახმარება გაუწია მშენებლობის ხელმძღვანელებს ამ ამოცანის მნიშვნელობის მასებისათვის გაცნობით, მშენებელი კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებით. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი ამ საარხე გვირაბის მშენებლობაზე ცაგერისა და საჩხერის რაიონებიდან ხანგრძლივი ვადით ჩამოსულ კოლმეურნე-მშენებელთა ბრიგადების სოციალისტურ შეჯიბრებას.

ცაგერის რაიონიდან ჩამოსულთა ბრიგადას ხელმძღვანელობს გრიგოლ ყურაშვილი. ეს ბრიგადა საარხე გვირაბის გათხრას შეუდგა გორაკის ჩრდილოეთის მხრიდან. სამხრეთის მხრიდან კი გვირაბის გათხრა დაიწყეს საჩხერელებმა, რომელთაც ხელმძღვანელობს ყოფილი ჭიათურელი მემაღაროე გიორგი შეყლაშვილი.

ვინ უფრო ადრე გათხრის გვირაბს ხვედრ მონაკვეთზე, ვის მიერ შესრულებული სამუშაო უფრო კარგი ხარისხისა იქნება, ვინ უფრო მაღალ მაჩვენებელს მოგვცემს შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებაში? — აი რა იყო შეჯიბრების შინაარსი.

ბრიგადებს ერთნაირ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ყურაშვილსაც 21 კაცი ჰყავს ბრიგადაში და შეყლაშვილსაც. ყურაშვილთან ცაგერის რაიონის სოფლებიდან ჩამოსულები არიან, შეყლაშვილთან—საჩხერის რაიონის სოფლებიდან ჩამოსულები. შეჯიბრება გადაიქცა მათი რაიონების ღირსებისათვის ბრძოლად, სამგორის სახალხო მშენებლობაში უკეთესი შრომით წვლილის შეტანისათვის ბრძოლად.

საუკეთესოდ იმუშავეს ცაგერის რაიონიდან ჩამოსულებმა გიორგი ყუბუსიძემ, მიხეილ ქარსელაძემ, ლუკა კოპალიანმა, გიგი საგინაძემ და ჭიჭიკო გიორგობიანმა. მიუხედავად იმისა, რომ მათ სამგორში ჩამოსვლამდე არ ჰქონდათ მიწისქვეშ მუშაობის გამოცდილება, მალე აითვისეს მეგვირაბე მშენებელთა ჩვევები, თავდადებით და ხალისით იბრძოდნენ საჩხერელებთან შეჯიბრებაში გასამარჯვებლად, თავიანთი რაიონის ღირსების დასაცავად.

არანაკლები წარმატებით იმუშავეს საჩხერელებმა. მათ შორის განსაკუთრებით ისახელეს თავი ავთანდილ შეყლაშვილმა, ისიდორე ქემერტელიძემ, ივლიანე ბუღაძემ, სიმონ შუბითიძემ, ევსევი მაჭარაშვილმა, მინაგო მოსიაშვილმა და გერვასი ტაბატაძემ.

12 აპრილს გ. ყურაშვილისა და გ. შეყლაშვილის ბრიგადები მიწისქვეშ მუშაობისას მიუახლოვდნენ ერთმანეთს. პერფორატორულ ბურღთა ხმაური გარკვევით შემოესმათ საჩხერელებს მიწის სიღრმეში მეორე მხრიდან.

— ვაშა, გავედით! —

წამოიძახა ვიღაცამ, და ყველა სმენად გადაიქცა. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ ადამიანთა ხმაც შემოესმათ.

საჩხერელთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. თურმე ლეჩხუმლებსაც ესმოდათ მეზობლების ხმა, კიდევ მეტი თავდადებით შეუტიეს მთის გულს. შუადღისას ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და გამარჯვება მიულოცეს. სანგრევი ხაზები უაღრესი სიზუსტით აღმოჩნდა გაყვანილი. (გვირაბის სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი ირაკლი თვალაძე).

ვინ გაიმარჯვა ლეჩხუმლებისა და საჩხერლების ამ შეჯიბრებაში?

პირნათლად, პატრიოტული თავდადებით დაიცვეს თავიანთი რაიონების ღირსება სამგორის საშვილიშვილო მშენებლობაში ცაგერის რაიონიდან ჩამოსულებმა, ისევე როგორც საჩხერის რაიონიდან ჩამოსულებმა. გ. ყურაშვილის ბრიგადას მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებული აღმოაჩნდა 139 პროცენტით, გ. შეყლაშვილის ბრიგადას — 134 პროცენტით. სიამაყით აღნიშნავენ ამ მაჩვენებლებს უბნის ხელმძღვანელები.

საჩხერელთა და ლეჩხუმელთა სოციალისტური შეჯიბრების პირველი ეტაპი დამთავრდა.

ახლა იწყება შეჯიბრების მეორე ეტაპი. იმავე ბრიგადებმა იკისრეს გადაიქცნენ მებეტონეებად, შეუდგნენ საგვირაბე არხის დაბეტონებას და ეს საქმე უმოკლეს დროში დაამთავრონ. გვირაბთა მთხრელები ახლა მეორე პროფესიას შეისწავლიან და თავისი შრომის ბარაქას წარუშლელ კვალად დასტოვებენ სამგორში.

რამდენიმე თვის შემდეგ სამგორში მათი სამუშაოდ ყოფნის ვადა ამოიწურება, მაგრამ ისინი მშენებლობიდან წასვლას როდი აპირებენ.

— კოლმეურნეობაც ჩვენია, სამგორიც ჩვენია, მაგრამ ახლა სამგორის მშენებლობა უფრო მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია და ამიტომ, თუ კოლმეურნეობათა გამგეობები ნებას დაგვრთავენ, ჩვენ აქ კვლავ დავრჩებით და მშენებლობას განვაგრძობთ!— ასე ამბობენ საჩხერელებიც და ლეჩხუმლებიც. გრიგოლ ყურაშვილს წერილი გაუგზავნია თავის კოლმეურნეობაში სოფელ ღვირიშის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ალექსი ხეცურიანისათვის — ნება მოგვეცით მე და ჩემი ბრიგადის წევრებს სამგორის მშენებლობაზე დავრჩეთო.

სამგორში სამუშაოდ დარჩენის სურვილს გამოთქვამენ საჩხერელი მშენებლებიც.

სამგორის მიწის გაცოცხლების საშვილიშვილო საქმე მშენებლებს აღაფრთოვანებს პატრიოტული თავდადებისათვის.

დ. ლომთაძე

გ ო რ ი ხ ა რ ა ჩ ო ე ბ შ ი

1951 წელი დიდ მშენებლობათა წელიწადია. გორელი მშრომელები ამას განსაკუთრებით გრძნობენ და ყოველმხრივ ეხმარებიან მშენებლებს.

ერთ-ერთი დიდი სამშენებლო ობიექტია გორის ბამბეულის კომბინატი. მისი მთავარი კორპუსისა და საამქროების მშენებლობასთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს მუშათა საცხოვრებელი ბინების აგებაც. უკვე მთავრდება 5 მოზრდილი სახლის მშენებლობა, დაწყებულია 6 ახალი სახლის და, გარდა ამისა, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისათვის სპეციალური შენობების აგება. ამის პარალელურად მუშათა საცხოვრებელ უბანში დაწყებულია ქუჩების კეთილმოწყობა.

112 პროცენტით შეასრულეს კომბინატის მშენებლებმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა და ახლა იბრძვიან იმისათვის, რომ გორელ მშენებელთა შორის საპირველმაისოდ პირველობა მოიპოვონ.

გორში შენდება ახალი ხიდი, რომლის საჭიროებასაც ქალაქი დიდად განიცდის. ხიდის მშენებლებმა პირველ კვარტალში შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს — დავალება 141 პროცენტით შეასრულეს და 300.000 მანეთი ეკონომია გასწიეს. ეს ხიდი ქალაქის დამამშვენებელი ნაგებობა იქნება.

ქალაქის ცენტრში, სტალინის მოედნის მახლობლად, შენდება ადმინისტრაციული სახლი. ეს სახლი სამსართულიანი იქნება და თავისი არქიტექტურით დიდად დაამშვენებს ქალაქს.

მთავარი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს გორში დაწყებულ ახალ მშენებლობებს, არის საქართველოს სამშენებლო ტრესტის (საქმშენი) გორის კანტორა (მმართველი მ. დუგლაძე), რომელიც ბოლო ხანებში უკეთესად მუშაობს, მშენებლობის პროგრამას ასრულებს.

ეს კანტორა ხელმძღვანელობს გორის მუზეუმის შენობის აგებას. ეს შენობა, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორი ა. ქურდიანი, ერთ-ერთი საუკეთესო სამუზეუმო შენობა იქნება. შენობას მოაპირკეთებენ ეკლარის ქვით.

მუზეუმის მშენებლებმა 250 პროცენტით გაანაღდეს პირველი კვარტალის დავალება. საუკეთესოდ მუშაობენ შენობის აგებაზე სტახანოველი მშენებლები ა. დავითაშვილი, გ. რუსიტაშვილი, გ. მურაჩაშვილი და სხვები.

გორს მოკლე ხანში შეემატება კიდევ ერთი კარგი შენობა „ინტურისტის" სასტუმროსათვის. შენობის მთავარი ფასადი სტალინის პროსპექტისაკენ იქნება.

ჭავჭავაძის ქუჩაზე დაწყებულია საქალაქო საავადმყოფოსათვის ახალი შენობის აგება. შენდება აგრეთვე ოცბინიანი საცხოვრებელი სახლი, სტადიონი და მაცივარ-კომბინატი. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ მშენებლობებზე („ინტურისტის" სასტუმრო, ქალაქის საავადმყოფო) საშენი მასალების მომარაგება მოუგვარებელია და ეს გარემოება აფერხებს მშენებლებს.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული ქუჩების კეთილმოსაწყობად. ჯერჯერობით მოკირწყლულია 12.000 კვადრატული მეტრი ფართობი, მოასფალტებულია 8.000 კვადრატული მეტრი და ქუჩების გაყოლებით გაკეთებულია რუსსადენი ბეტონის არხები.

გორელი მშენებლები შეუნელებლივ ადიდებენ მუშაობის ტემპს, თავდადებით იბრძვიან, რათა დიდი სტალინის სამშობლო ქალაქი გადააქციონ „სავსებით თანამედროვე, კეთილმოწყობილ ქალაქად, რომელიც ღირსი იქნება იმ ისტორიული სახელისა, რითაც იგი მთელ საბჭოთა ხალხში სარგებლობს" (ც. ჩარკვიანი).

შ. ჩუბინიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ახალი მიწების ათვისება

სიღნაღი. (სპეც. კორ.). კოლმეურნეობები ენერგიულად მუშაობენ ახალი მიწების ასათვისებლად. რაიონში წელს ათვისებულ იქნება რამდენიმე ათასი ჰექტარი ყამირი. სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ შარშან აითვისეს 400 ჰექტარი ახალი მიწა, სადაც ხორბალი დაითესა. წელს კოლმეურნეობა საკოლმეურნეო მიწის ფონდს კიდევ შესძენს 400 ჰექტარს.

ასევე კარგად შრომობენ ახალი მიწების ასათვისებლად ქვემო მაჩხაანის მახარაძის, ბოდბისხევის კაგანოვიჩის, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

10 ათასი წიწილი საინკუბატორო სადგურიდან

ქუთაისი. (საკ. კორ.). ერთ თვეზე ცოტა მეტია, რაც მუშაობას შეუდგა ქუთაისის რაიონის საინკუბატორო სადგური. ამ სადგურში წელს 200 ათასზე მეტ წიწილი უნდა გამოიჩეკოს.

საინკუბატორო სადგურში ამ დღეებში გამოყვანილ იქნა წიწილების პირველი პარტია 10 ათასი ფრთის რაოდენობით.

დათესილია 241.117 ჰექტარი

საქართველოს კოლმეურნეობებში 15 აპრილისათვის დათესილია 241.117 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 52,2 პროცენტით, აქედან მარცვლეული და პარკოსანი კულტურებისა — 52,8 პროცენტით (კერძოდ, ხორბლისა — 90,5 და სიმინდისა — 44,5 პროცენტით), მზესუმზირასი — 104,4, შაქრის ჭარხლის — 100, კარტოფილის — 54,8, ბოსტნეულის — 44,9, მრავალწლიანი ბალახების — 72,6, ერთწლიანი ბალახების — 31,2, საკვები ძირხვენების — 48,1, სასილოსე კულტურების — 23,8 პროცენტით.

აფხაზეთში თესვის გეგმა შესრულებულია 24,5 პროცენტით, აჭარაში — 14,6, სამხრეთ ოსეთში — 43,6, კასპის რაიონში — 101, სიღნაღის—102, წითელწყაროს — 126,2, საგარეჯოს— 100,3, ხაშურის — 85,4, წალკის—87,3, ყვარლის — 88,1, თბილისის გარეუბნის — 80, ბოგდანოვკის — 73,7, ასპინძის — 79,1, ქარელის — 72,1, ახმეტის — 72,2, ბოლნისის რაიონში—78,2 პროცენტით და სხვ.

მოხნულია 231.589 ჰექტარი

საგაზაფხულო კულტურების დასათესად საქართველოს კოლმეურნეობებში 15 აპრილისათვის მოხნულია 231.589 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 91,4 პროცენტით.

ხვნის გეგმა წარმატებით არის შესრულებული აფხაზეთში და 29 რაიონში, აქედან კასპისა და ქარელის რაიონებში ორმაგად, ახალციხის რაიონში — სამმაგად და მეტად.

ხვნის დავალების შესრულებას მიუახლოვდნენ ახალქალაქის, მახარაძის, ქუთაისის, წყალტუბოს, ზესტაფონის რაიონები.

აჭარაში გეგმა შესრულებულია 86,1 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში — 60,5, დმანისის რაიონში — 86,9, ხობის — 87,6, ლანჩხუთის — 85,6, თერჯოლის რაიონში — 81,2 პროცენტით.

საანეულო ხვნა

საანეულო ხვნა დაწყებულია საქართველოს 14 რაიონში. სულ 15 აპრილისათვის მოხნულია 9.438 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმის ერთიმეხუთედი.

კასპის რაიონმა დავალება 134,8 პროცენტით შეასრულა (მოხნა 1.618 ჰექტარი), თბილისის გარეუბნის რაიონმა — 58,5 პროცენტით, საგარეჯოს — 52,4, მცხეთის — 19,3, გარდაბნის— 17,5, მარნეულის რაიონმა — 13,9 პროცენტით.

საანეულო ხვნა დაწყებულია აგრეთვე დმანისის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დუშეთის, კასპის, ქარელის რაიონებში.

სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში, რომელთაც გეგმა არა აქვთ, საანეულოდ 1.500-ზე მეტი ჰექტარი მოხნეს.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენის განცხადება

ფხენიანი, 16 აპრილი. (საქინფორმი). 15 აპრილს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაკ ხენ ენმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარესა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს შემდეგი განცხადება გაუგზავნა.

ლეიკ-საქსესი; ნიუ-იორკი:

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ არაერთხელ მიუმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის პროტესტით ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციისა და იმ საშინელი მხეცობის წინააღმდეგ, რასაც კორეაში ამერიკელები და ლისინმანელები სჩადიან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც უგულებელყოფს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პროტესტებს, დღემდე არავითარი ღონისძიება არ მიუღია, რათა შეეწყვიტა ბოროტმოქმედება ამერიკელი ინტერვენტებისა, რომლებიც სამართლიანად იწვევენ არა მარტო კორეელი ხალხის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთებას. კორეაში ომი კი ყოველდღე აძლიერებს კორეელი ხალხის ტანჯვას, იწვევს ამერიკელი ინტერვენტებისა და მათი ხელშემწყობთა საზიზღარი ავაზაკობის ახალ მსხვერპლს. ამერიკელი ინტერვენტები და მათი ხელშემწყობნი სულ უფრო სასტიკი და ულმობელი ხდებიან, რადგან ამაოდ ცდილობენ დაიმორჩილონ თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი. მტრის ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებიდან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მოსდის მრავალი ცნობა ამ რაიონებში ამერიკელი ინტერვენტების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების შესახებ. ამ უდავო ფაქტების თანახმად, რომლებსაც აღნიშნული ცნობები შეიცავენ, ამერიკელი ინტერვენტები და მათ კონტროლში მყოფი ლისინმანელთა ბანდები მათ მიერ ოკუპირებულ კორეის რაიონებში ახორციელებენ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობის პოლიტიკას. ამასთან ისინი მიმართავენ თავიანთ მსხვერპლთა აბუჩად აგდების ყველაზე მხეცურ ხერხებს, საშუალსაუკუნეობრივ ბარბაროსულ წამებას, ქალების გაუპატიურებასა და სხვა მხეცობას.

აღნიშნულია ურიცხვი შემთხვევა, როცა ოკუპანტებმა დახოცეს კორეელები, დასთხარეს მათ თვალები, დასჭრეს ცხვირი, ყურები, ხელები, დაუფატრეს მუცელი, რამდენიმე ნაწილად გაუხერხეს თუ გაუჭრეს სხეული, დაწნეხეს გახურებული რკინით, შეყარეს ტანკებქვეშ თუ ცოცხლად დამარხეს.

სადიზმით უმაგალითო ტერორი ვრცელდებოდა, უწინარეს ყოვლისა, შრომის პარტიისა და სხვა დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრებზე, ადგილობრივი დემოკრატიული თვითმმართველობის მუშაკებზე, ყველა პატრიოტ კორეელზე. ამერიკელთა და ლისინმანელთა მხეცური ავაზაკობის მსხვერპლი ხდება აგრეთვე ათასობით კორეელი ქალი, ბავშვი და მოხუცი.

ქვემოთ მოყვანილია ამერიკელთა და ლისინმანელთა მიერ დროებით ოკუპირებული რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობის მხეცურად მოსპობის ზოგიერთი ფაქტი.

1950 წლის ოქტომბრის დამდეგს ამერიკელებმა დააპატიმრეს 135 კაცი—სახალხო კომიტეტების მუშაკები, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები და მათი ოჯახების წევრები კანგის პროვინციის ფხაჯუს მაზრის კობის თემში, ხელ-ფეხი შეუკრეს, გზაზე დაყარეს და ტანკებით დასრისეს. 1950 წლის 28 ოქტომბერს ლისინმანელებმა ჩრდილოეთ ხამგენის პროვინციის ქალაქ სონჯინში (ამჟამად ქალაქი კიმ ჩაკი) დააპატიმრეს 30 მცხოვრები, რომელთაც ბრალად დასდეს „წითლებისადმი თანაგრძნობა". ისინი აწამეს ელექტროდენით, რის შემდეგაც ყველანი დახვრიტეს ქალაქის თეატრის წინ.

23 ნოემბერს ლისინმანელმა ჯარისკაცებმა ჩრდილოეთ ხამგენის პროვინციის საქსენის მაზრის ხაკნამის თემში დააპატიმრეს 28 აქტივისტი, მათ შორის სათემო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე კიმ დონ ხე. ყველა ისინი მთებში წაიყვანეს, ბენზინი გადაასხეს და ცოცხლად დაწვეს. 1950 წლის 9 ოქტომბერს ლისინმანელებმა მოკლეს კიმფხოს მაზრის იანჩონის თემის სოფელ ხინსინის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე სინ გი სუ, წინასწარ დანით მოსჭრეს ხელ-ფეხი, ხოლო შემდეგ მოკვეთეს თავი, სხეული კი რამდენიმე ნაწილად გაჭრეს. 1950 წლის 4 ოქტომბერს ოკუპანტებმა დააპატიმრეს ქალი—კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის კანგის პროვინციის კიმფხოს მაზრის ვოლგოკის თემის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლი დონ ი. იგი მხეცურად აწამეს და შემდეგ კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის 10 სხვა წევრთან ერთად მოკლეს. 1950 წლის 5 ოქტომბერს დააპატიმრეს კონგის პროვინციის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის კოიანის მაზრის სინდოს თემის სოფელ ენდურის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ლი ტხე ზუნი, სასტიკად აწამეს, გახურებული სადგისით დაუჩხვლიტეს კისერი, მკერდი, მუცელი და სხეულის სხვა ნაწილები.

1950 წლის ოქტომბრის დასაწყისში კანგის პროვინციის ფხაჯუს მაზრის კობის თემში პოლიციელებმა შეიპყრეს ექვსი ბავშვი, რომლებიც მღეროდნენ სიმღერას კიმ ირ სენზე, და დახოცეს ისინი, ხოლო წინასწარ ტუჩები მოაჭრეს და მარწუხით ამოგლიჯეს ენა. შემდეგ ამ ბავშვების გვამები გზაზე დაალაგეს, მორეკეს ყველა ბავშვი მახლობელი სოფლიდან, უჩვენეს მათ მოკლულთა გვამები და დაემუქრნენ, რომ ასევე დახოცავდნენ იმათაც, თუ ისინი იმღერებდნენ სიმღერას კიმ ირ სენზე. 1950 წლის 10 ოქტომბერს ლისინმანელებმა შეიპყრეს კიმფხოს მაზრის ხვასენის თემის სახალხო კომიტეტის ინსტრუქტორის ცოლი, გააუპატიურეს იგი, მხეცურად გაუფატრეს მუცელი და მოკლეს. ამავე დროს მათ მოკლეს მისი ორი ვაჟი, რომლებსაც ქვებით გაუჭეჭყეს თავი. იმავე თემის სოფელ საერის მცხოვრებ გლეხს იოო გუ ვონს წერაქვით დაუმსხვრიეს ზურგი იმისათვის, რომ მისი შვილი სახალხო ლაშქარში შევიდა, და მოკლეს იგი.

1950 წლის 29 ოქტომბერს ლისინმანელებმა სასაწყობო შენობაში შეუგდეს ძაღლს დასაგლეჯად ხვანხეს პროვინციის სინჩენის მაზრის ბონჩენის თემის სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარე ტიან დუ ხენი. ძაღლის მიერ დაგლეჯის შედეგად იგი გარდაიცვალა. 1950 წლის ნოემბრის დამდეგს კანგის პროვინციის ფხაჯიუს მაზრის ძუნზის თემის სოფელ ფხაჯიუში ლისინმანელებმა მოკლეს 70 ქალი—დემოკრატების ცოლები, ხოლო მათი მცირეწლოვანი ბავშვები ცოცხლად ჩამარხეს მიწაში. 1950 წლის ნოემბერში ამერიკელებმა სინჩენის მაზრის საპოლიციო განყოფილების ბომბსაფარში შერეკეს 479 პატრიოტი და მათი ოჯახების წევრები, მიწით ამოავსეს თავშესაფრის შესასვლელი, რის შედეგადაც ისინი ყველანი დაიხრჩვნენ. ამერიკელებმა ამნაირად მოკლეს სინჩენის მაზრის შრომის პარტიის კომიტეტის ბომბსაფარში კიდევ 104 კაცი. სოფელ ვონამში ლისინმანელებმა სასაწყობო შენობაში გამოამწყვდიეს და დაწვეს 300-ზე მეტი კაცი. მეორე სასაწყობო შენობაში მათ ჩაკეტეს 10 წელზე ნაკლები ასაკის 80-ზე მეტი ბავშვი, სასიკვდილოდ სცემეს მათ ჯოხებით ან სული ამოხადეს შიმშილით. 1950 წლის ნოემბერში ამერიკელები შეიჭრნენ ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციის ჩონჯუს მაზრას ლიმფხუნის თემის პატარა კუნძულ ჩანდოზე და მხეცურად მოსპეს კუნძულის 580-ზე მეტი მცხოვრები. ამერიკელები და ლისინმანელები ტეჩხონის მაზრაში რომ შეიჭრნენ, იქ მოკლეს შრომის პარტიის წევრი, გლეხთა კავშირის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ლი ან ძუნი, რომელიც სომენის თემის სოფელ უენში ცხოვრობდა. მოკვლის წინ ჯაჭვით ყურები და ცხვირი, დასთხარეს თვალები და გააძრეს ტყავი. 1950 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში სამხრეთ ხამგენის პროვინციის ხამჯიუს მაზრის სანძოანმენის თემის სოფელ ბონგენში მათ შეკრეს შრომითი პარტიის წევრთა ნათესავები—20-ზე მეტი კაცი და ცულებით დაჩეხეს ისინი, ხოლო გვამები დაწვეს.

1950 წლის 20 დეკემბერს ლისინმანელებმა შეიპყრეს კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის აქტივისტი ქალი სინ იაკ ჩენი, რომელიც კანვონის პროვინციის ქალაქ ბონსანის დასონის უბანში ცხოვრობდა, გააშიშვლეს იგი, შეკრეს და საშინლად აწამეს, რის შედეგადაც მან გრძნობა დაკარგა, ხოლო შემდეგ მოკლეს. 1950 წლის 25 დეკემბერს ლისინმანელებმა კოცონზე დაწვეს შრომის პარტიის სინჩენის მაზრის ონჩენის თემის სოფელ ძინურის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე კიმ ძინ სონი. 1950 წლის 25 დეკემბერს ამერიკელებმა და ლისინმანელებმა შეიპყრეს კანვონის პროვინციის ხენგანის მაზრის სომენის თემის სოფელ ოქტონის მცხოვრები ორსული ქალი სო დო ძო, იმისათვის, რომ მისი ქმარი სახალხო არმიაში წავიდა. ქალი გააშიშვლეს და ისე ჩამოატარეს სოფელი, ხოლო შემდეგ ხიშტებით მოკლეს.

1951 წლის 5 იანვარს ლისინმანელებმა შეიპყრეს კანვონის პროვინციის იან'იანის მაზრის კანჩენის თემის მცხოვრები, შრომის პარტიის წევრი იუნ ხი დუ, მოკლეს იგი და სამ ნაწილად გაჩეხეს. კორეის მოსახლეობის მხეცური მოსპობის ამგვარი მაგალითები უსაზღვროდ ბევრია.

ხვანხეს პროვინციის სინჩენის მაზრის მხოლოდ ონჩენის თემში 1951 წლის 2 თებერვლისათვის ოკუპანტების მიერ დახოცილ მშვიდობიან მცხოვრებთა გამორკვეული რაოდენობა შეადგენდა 1.392 კაცს; სინჩენის მთელ მაზრაში მოკლულია 25 ათასზე მეტი კაცი, ხოლო ხვანხეს მთელ პროვინციაში მოკლულთა რაოდენობა 100 ათას კაცს აღემატება. უკან დახევისას ამერიკელებმა ატომური ბომბების გამოყენების მუქარით სამხრეთისაკენ გარეკეს მრავალი მცხოვრები, რომელთა მეტი ნაწილი გზაში მოსპეს. მაგალითად, კანვონის პროვინციის იან'იანის მაზრიდან უკანდახევის დროს ამერიკელებმა და ლისინმანელებმა ძალით გარეკეს 25.380 კაცი და მათი მეტი ნაწილი ტყვიამფრქვევებით და თვითმფრინავებიდან დაშენილი ბომბებით მოსპეს. სამხრეთ ფხენიანის პროვინციის ჩუნხვის მაზრის სოფელ ეფხიროდან ოკუპანტებმა ძალით გარეკეს 800-ზე მეტი კაცი და მათგან გზაში ქალაქ სარივონის მახლობლად ოთხი თვითმფრინავიდან ტყვიამფრქვევებით დახოცეს 400-ზე მეტი კაცი.

ამერიკელმა ინტერვენტებმა და ლისინმანელმა ბანდიტებმა, რომლებმაც დაკარგეს ადამიანის მორალის ყოველგვარი ნიშანწყალი, დროებით ოკუპირებულ რაიონებში გააუპატიურეს უამრავი ქალი, ქალიშვილი, გოგონა, ამასთან მეტ წილად ამის შემდეგ ხოცავდნენ მათ. მაგალითად, როგორც განაცხადა კიმფხოს მაზრის იანჩონ თემის სოფელ ხინსინის მცხოვრებმა გლეხმა კიმ ხინ გუკმა, რომელიც შრომითი ბეგარას იხდიდა კიმფხოს აეროდრომზე, აეროდრომის მიწისქვეშა შენობაში ამერიკელ მფრინავებს 80-ზე მეტი ახალგაზრდა კორეელი ქალი ჰყავდათ და აწამებდნენ მათ. სამხრეთ ხამგენის პროვინციის დანჩენის თემში ამერიკელებმა და ლისინმანელებმა გააუპატიურეს ქალთა სკოლის 42 მასწავლებელი და მოსწავლე. 1950 წლის 5 ნოემბერს ქალაქ კესონში ორმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ, რომლებიც შეხვდნენ თავის ქმართან მიმავალ ქალს, ქმარი მოკლეს, ქალი კი გააუპატიურეს. 1950 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციის ენბენის მაზრის ენსანის თემის სოფელ ჩუნსურში ამერიკელებმა გააუპატიურეს 13 წლის გოგონა. 1950 წლის 20 ნოემბერს ფხენიანში ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა გააუპატიურეს სახალხო არმიის სამი ტყვედ წაყვანილი სანიტარი ქალი, შემდეგ კი დახვრიტეს ისინი. 1950 წლის 27 ნოემბერს 8 ამერიკელმა გააუპატიურა კანგის პროვინციის ხვასენის მაზრის ტენამენის თემის სოფელ კიმვანის ქალთა კავშირის თავმჯდომარე ლი. შემდეგ იგი მოკლეს. მისი შიშველი გვამი რამდენიმე დღეს ეგდო გზის პირას.

1950 წლის დეკემბრის დამდეგს 3 ამერიკელმა ოფიცერმა ლისინმანელთა მარიონეტული მთავრობის კულტურისა და განათლების მინისტრ ლუკ ნაკ ტიუნთან მის ბომბსაფარში გამართულ ბანკეტზე გააუპატიურა ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებელი, ხოლო შემდეგ მოკლა იგი. კანვონის პროვინციის იანგუს თემის სოფელ სანში ჯარისკაცთა ოცეულმა ოფიცრის მეთაურობით მხეცურად გააუპატიურა 22 წლის ქალი კიმ კი უნი.

გახრწნილი სადისტები — ამერიკელი ინტერვენტები და მათი დამქაშები — აწამებენ, ძარცვავენ მშვიდობიან მცხოვრებთ, იტაცებენ მათს საკუთრებას, ანგრევენ მათს სახლებს, სპობენ კორეის ეროვნულ სიმდიდრეს, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლებს. ისინი შურს იძიებენ კორეელ ხალხზე იმისათვის, რომ იგი მედგარ, გმირულ წინააღმდეგობას უწევს საზიზღარ დამპყრობლებს, და სურთ გაჟლიტონ კორეელი ხალხი, უდაბნოდ გადააქციონ მისი სამშობლო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინანდელ განცხადებებში მოყვანილი იყო მრავალი მაგალითი კორეის ტოტალური ოხრების ამ მხეცური პოლიტიკისა, რომელსაც ამერიკელი ინტერვენტები ახორციელებენ. ამ განცხადებაში მე დავჯერდები მხოლოდ ზოგიერთ ჯერ გამოუქვეყნებელ ფაქტს.

დეკემბერ-იანვარში უკანდახევის დროს ამერიკის ჯარები მთლიანად ანგრევდნენ და სპობდნენ მათს გზაზე განლაგებულ დასახლებულ პუნქტებს და ცალკეულ გლეხთა სახლებს. მაგალითად, როცა ამერიკელები და ლისინმანელები კანვონის პროვინციის იან'იანის მაზრიდან უკან იხევდნენ, ამა წლის 2 იანვარს ცეცხლწამკიდებელთა სპეციალურად შექმნილი რაზმები ცეცხლს უკიდებდნენ სოფლებს. კანხენის თემში მათ დაწვეს 593 სახლი, იან'იანის თემში—1.003 სახლი, სონიანის თემში—720 სახლი, სომენის თემში—776 სახლი. სულ იან'იანის მაზრაში დაწვეს 3.351 სახლი.

1950 წლის დეკემბრის დამლევს უკანდახევის დროს ამერიკელებმა ტანკებით დაანგრიეს მუნსანის რაიონის 60-ზე მეტი გლეხთა სახლი. 1950 წლის 30 დეკემბერს უკანდახეულმა ამერიკელთა ჯარებმა დაწვეს სეულიდან იანჯიუსაკენ მიმავალი გზების პირად მდებარე ულებლივ ყველა სახლი. კანვონის პროვინციის ჩხოლვონის მაზრის ეუნის თემის სოფელ ვოლტენიდან უკანდახევის დროს მტრებმა მთლად დაწვეს ამ სოფლის 30-ზე მეტი სახლი, აგრეთვე ფერფლად აქციეს პურის ზვინები. 1950 წლის 16 ნოემბერს ამერიკელებმა და ლისინმანელებმა მთლად დაწვეს ჩხოლვონის მაზრის ჩხოლვონის თემის სოფელ საერის 11 სახლი, ხოლო 19 ნოემბერს მათ დაწვეს იმავე თემის სოფელ გალმის 66 გლეხთა სახლი და ბრინჯის ზვინები. ამერიკელმა ბარბაროსებმა მოსპეს ჩვენი ხალხის უდიდესი კულტურული ფასეულობანი და ისტორიული წარსულის ძეგლები.

ქალაქ კესონიდან ევაკუაციის დროს მათ ააფეთქეს ძველი კორეული არქიტექტურის განთქმული ძეგლი—კესონის სამხრეთი კარი, აგრეთვე კესონის მუზეუმი და ქალაქის სხვა კულტურული დაწესებულებანი. მათ დაწვეს იან'იანში ბუდას ტაძარი ნაქსანსა, რომელიც მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ძეგლი იყო. მათ სულ დაანგრიეს სეულის ძველი კარი გვანხვამუნი, რომლის არქიტექტურა საუცხოო იყო, და სეულის სამხრეთი კარი.

ამერიკელი ინტერვენტები, რომლებიც შემაძრწუნებელ დანაშაულობას სჩადიან, აოხრებენ კორეას, მასობრივად სპობენ მის მოსახლეობას, ცდილობენ დააშინონ კორეელი ხალხი, გატეხონ მისი წინააღმდეგობა, ჩაახშონ მისი მისწრაფება თავისი ქვეყნის სრული განთავისუფლებისადმი. ისინი ვერ მიაღწევენ მიზანს. ინტერვენტების მხეცობა იწვევს მხოლოდ კორეელი ხალხის მრისხანე აღშფოთებას და სიძულვილს ამერიკელი იმპერიალისტებისადმი. კორეის ამბების მთელი მიმდინარეობა იმას მოწმობს, რომ კორეელი ხალხის ნებისყოფა ურყევია. ამერიკელი ინტერვენტების მხეცობის პასუხად კორეელი ხალხი უფრო მჭიდროდ ირაზმება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის ქვეშ, მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გარეკოს საძულველი უცხოელი დამპყრობლები მშობლიური მიწა-წყლიდან. კორეელ ხალხს მტკიცედ სწამს თავისი საბოლოო გამარჯვება.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ზემოხსენებული მხეცობის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ამერიკელ ინტერვენტებთან ერთად იმ დანაშაულობისათვის, რაც ამერიკელებმა კორეაში ჩაიდინეს, პასუხისმგებელი არიან ისინიც, ვინც იყენებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამს და ფარავს ამერიკელთა აგრესიას, ხელს უწყობს კორეაში უცხოელი ინტერვენტების შეიარაღებული რაზმების გამოგზავნას და ამრიგად ხელს უწყობს იმას, რომ მათ მხეცურად გაჟლიტონ კორეელი ხალხი, მოსპონ მისი ეროვნული ავლა-დიდება. თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ნამდვილად სურს ემსახუროს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, მან დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოს ამერიკელი იმპერიალისტების ბოროტმოქმედება კორეაში, დაგმოს სამხედრო დამნაშავეები, რომლებმაც მოაწყვეს ან პროვოკაციით გამოიწვიეს ეს ბოროტმოქმედება, უნდა უზრუნველყოს, რომ კორეის საქმეთა მოწესრიგდეს მშვიდობისმოყვარე ხალხთა იმ სურვილის შესაბამისად, რომელიც გამოთქმულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებაში. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მტკიცედ მოითხოვს ამას.

პაკ ხენ ენი — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

1951 წლის 15 აპრილი.

მშვიდობის პაქტისათვის!

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომაზე

პარიზი, 16 აპრილი. (საქინფორმი). გუშინ პარიზში გაიმართა მშვიდობის ეროვნული საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა წინაშე ამჟამად მდგომი უმთავრესი ამოცანები.

სხდომაზე მოხსენება გააკეთეს: პასტორმა ბოსკამ — „ომის საფრთხის გაძლიერება და მშვიდობისათვის მოძრაობის გაფართოება"; დოქტორმა მემ—„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წინააღმდეგ მიმართული მთავრობის დეკრეტის შესახებ"; ფრენან ვინმა—„მშვიდობის მომხრეთა მოქმედების გაძლიერების შესახებ".

ფრანსუაზა ლეკლერკის წინადადებით სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება—15 ივლისს პარიზში მოეწყოს მასობრივი სახალხო მიტინგი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის ბრძოლის ნიშნით. მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა მოაწყოს მთელ საფრანგეთში სახალხო კრებები, რომლებზეც არჩეულ იქნებიან პარიზის 15 ივლისის ეროვნული მიტინგის დელეგატები.

სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც განსაზღვრავს საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ამოცანებს, აგრეთვე საპროტესტო რეზოლუცია საფრანგეთის ტერიტორიაზე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ მთავრობის დეკრეტის წინააღმდეგ. მშვიდობის ეროვნული საბჭოს საგანგებო სესიის მუშაობის დასასრულს გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ივ ფარჟი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო გაფართოვდეს მშვიდობისათვის მოძრაობა საფრანგეთში და გაძლიერდეს მშვიდობის მომხრეთა მოქმედება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 16 აპრილი. (საქინფორმი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გამოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ ცენტრალურ ფრონტზე მტრის მიერ დაწყებული შემოტევა შეაჩერეს სახალხო არმიის ნაწილებმა და ჩინელმა მოხალისეებმა.

15 აპრილს სახალხო არმიის ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 3 თვითმფრინავი.

ამერიკის თვითმფრინავების ახალი თავდასხმა ჩინეთზე

პეკინი, 16 აპრილი. (საქინფორმი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

13 აპრილს დაახლოებით დილის 9 საათზე ამერიკის 30-ზე მეტი რეაქტიული აფთაგამანადგურებელი კვლავ შემოიჭრა ჩინეთის საჰაერო სივრცეში ფუძიანის პროვინციის სანაპირო რაიონში, სადაც ორი დღის წინათ ჩინეთის საჰაერო საზღვარი დაარღვია ამერიკის მრავალმა თვითმფრინავმა. ამერიკის თვითმფრინავები დაპატრულებდნენ და ზვერავდნენ ქალაქებს იფუჯოუს, დიონლის, ჩუნეუს (ხოიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით) და იამოის. თვითმფრინავები გარეკა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საზენიტო არტილერიამ.

სრულიად გერმანიის სახალხო გამოკითხვისათვის

ოტო გროტევოლის გამოსვლა

ბერლინი, 16 აპრილი. (საქინფორმი). როგორც ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი გუშინ გამოვიდა მიტინგზე მერანეში (საქსონიის მხარე). მიტინგი მოწვეულ იქნა საკონცენტრაციო ბანაკებიდან ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების დღის აღსანიშნავად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, განაცხადა გროტევოლმა, მთელი ძალღონით შეუწყობს ხელს სრულიად გერმანიის სახალხო გამოკითხვის მოწყობას რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და გერმანიასთან 1951 წელს საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

თუ ადენაუერის მთავრობა ახალ არმიას ქმნის დასავლეთ გერმანიაში, განაგრძო გროტევოლმა, იგი სახალხო გამოკითხვის დროს გაიგონებს გერმანელი ხალხის სიტყვას, რომ ასეთი მოქმედება ღალატია ხალხის მიმართ და ხალხს არა სურს მხარი დაუჭიროს ამ მოქმედებას.

„შუმანის გეგმის" შესახებ პარიზის მოლაპარაკების თაობაზე გროტევოლმა თქვა: „გერმანიაში დოქტორ ადენაუერისათვის არავის მიუცია რწმუნება ხელი მოაწეროს ასეთ ხელშეკრულებას. ბ-ნ ადენაუერის ხელმოწერა გერმანელი ხალხისათვის ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს ღალატს, რისთვისაც ბ-ნმა ადენაუერმა პასუხი უნდა აგოს მთელი გერმანელი ხალხის წინაშე".

მიტინგის 35 ათასმა მონაწილემ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელიც შეიცავს თხოვნას — დაუყოვნებლივ განახორციელდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაში საჭირო ღონისძიებანი, რათა მოეწყოს სახალხო გამოკითხვა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

ქალაქ მერანეს მშვიდობისათვის მებრძოლებმა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის სახალხო გამოკითხვის მომწყობ ცენტრალურ კომიტეტს ესენში გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ვფიცავთ ვიბრძოლოთ დასავლეთ გერმანიის მშვიდობის ყველა მეგობრის მხარდამხარ".

მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

16 აპრილს საბჭოთა არმიის ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში გამთავრდა ბოტვინიკ-ბრონშტეინის მატჩის მე-14 პარტია.

პარტიის 66-ე სვლაზე გროსმაისტერები შეთანხმდნენ ყაიმზე და მატჩის ანგარიში გახდა 7,5 : 6,5 ბოტვინიკის სასარგებლოდ. (საქინფორმი).

სტუდენტთა მეორე სპარტაკიადა

წარმატებით მიმდინარეობს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეორე სპარტაკიადა.

დამთავრდა შეჯიბრება გუნდურ და პირად პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში. სპორტის ამ სახეში მონაწილეობას იღებდა 45 სტუდენტი. გუნდური პირველობა მოიპოვა იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა, რომელმაც მიიღო 31 საკონტროლო ქულა, მეორე ადგილზე გამოვიდა ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტის გუნდი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა.

პირად პირველობაზე პირველი ადგილები დაიკავეს მსუბუქ წონაში მ. დოლიძემ (იურიდიული ფაკულტეტი), ნახევრადმსუბუქ წონაში ე. ფილიამ (იურიდიული ფაკულტეტი), მსუბუქ წონაში გ. შაქარაშვილმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი), ნახევრადსაშუალო წონაში რ. სიჭინავამ (იურიდიული ფაკულტეტი), საშუალო წონაში გ. ლასურაშვილმა (იურიდიული ფაკულტეტი), ნახევრადმძიმე წონაში შ. დაუშვილმა (ეკონომიკის ფაკულტეტი), ხოლო მძიმე წონაში ბ. ბარლიანმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი).

დამთავრდა აგრეთვე შეჯიბრება კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ამ სახეში პირველობისათვის იბრძოდა კალათბურთელ ქალთა 12 გუნდი. პირველი ადგილი დაიკავა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გუნდი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა.

შეჯიბრება გრძელდება.

ახალი სანატორიუმი

სოხუმი. (საქ. კორ.). მიმდინარე საკურორტო სეზონისათვის აფხაზეთში გაიხსნება კლიმატური სანატორიუმი „ოქროს ნაპირი". იგი მოემსახურება სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავებს. სანატორიუმი მდებარეობს სოხუმის ახლოს, მდინარის ნაპირას.

სანატორიუმში ეწყობა რენტგენის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები. ბანაობის სეზონში გაიხსნება კეთილმოწყობილი პლაჟი. დამსვენებელთა კულტურული მომსახურებისათვის სანატორიუმში იქნება კლუბი, ბიბლიოთეკა და სხვადასხვა გასართობი საშუალებანი.

ჟურნალი „სოციალისტური სოფელი" № 1

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროების ორგანოს, ყოველთვიური მეცნიერულ-საწარმოო ჟურნალის „სოციალისტური სოფლის" პირველი ნომერი.

ჟურნალის მოცულობა—4 სასტამბო ფორმა. ტირაჟი—6.000, ფასი 3 მანეთი.

ლ ე ქ ც ი ა

20 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და მასწავლებლის სახლის დირექცია აწყობენ საზოგადოების ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის **ნ. ყიფშიძის** საჯარო ლექციას თემაზე: **„გრიპი და მასთან ბრძოლა".**

ლექცია შედგება მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3). ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების გამგეობაში (მახარაძის ქ. № 14, ტელეფ. 3-12-93), საზოგადოების რწმუნებულებთან და ლექციის დღეს, საღამოს 7 საათიდან—სალაროში.

საქართველოს პირველობა ძალოსნობაში

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონის ტანვარჯიშის დარბაზში გაიმართა საქართველოს პირადგუნდური პირველობა ძალოსნობაში. მასში მონაწილეობდა თბილისის სამი გუნდი, აგრეთვე სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ქუთაისის და გორის გუნდები, სულ 60-ზე მეტი ძალოსანი.

გუნდურ პირველობაში პირველი ადგილი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდამავალი თასი მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა, რომელმაც მიიღო 11 საჯარიმო ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის მეორე გუნდი (12 ქულა), მესამე ადგილი 29 საჯარიმო ქულით დაიკავა ქუთაისის გუნდმა.

პირად პირველობაში საქართველოს 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: მსუბუქ წონაში ნ. ფერაძემ (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ნახევრადმსუბუქ წონაში — სპორტის ოსტატმა ევროპის ჩემპიონმა რ. ჩიმიშკიანმა (თბილისი „დინამო"), მსუბუქ წონაში ა. გოლოიანმა (თბილისი „ნავერწკალი"), ნახევრადსაშუალო წონაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა მ. ძენტმა (თბილისი „დინამო"), ნახევრადმძიმე წონაში — სპორტის ოსტატმა გ. კოშაძემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მძიმე წონაში ა. ენდელაძემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მ. ძენტმა ორი ხელით აჰკრა 146 კილოგრამი და 100 გრამი, რითაც დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი.

სპორტის ოსტატმა გ. კოშაძემ ორი ხელით ასწია 109,2 კილოგრამი და ორი ხელით აჰკრა 136,1 კილოგრამი, რითაც სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს და საბჭოთა სპორტის საზოგადოება „მეცნიერების" ცენტრალური საბჭოს ახალი საკავშირო რეკორდები დაამყარა.

გამარჯვებულ ძალოსნებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ მოწმობები. შეჯიბრების შედეგად შერჩეულ იქნა საქართველოს ნაკრები გუნდი. იგი მაისის შუა რიცხვებში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის პირველობაში, რომელიც გაიმართება ქალაქ კაუნასში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირველობა ძალოსნობაში

ამასხან თბილისის ოფიცერთა სახლის სასპორტო დარბაზში დამთავრდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირველობა ძალოსნობაში. მასში მონაწილეობა მიიღო 77 ძალოსანმა.

ოლქის 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: მსუბუქ წონაში მ. საიკიანმა, ნახევრადმსუბუქ წონაში მ. აფანასიევმა, მსუბუქ წონაში ტ. ტევოსიანმა, ნახევრადსაშუალო წონაში შ. წერეთელმა, საშუალო წონაში შ. ალანიანმა, ნახევრადმძიმე წონაში სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა ი. გელოვანმა, ხოლო მძიმე წონაში ს. სარქისიანმა.

გუნდური პირველობა მოიპოვეს ქალაქ ერევნის გარნიზონის წარმომადგენლებმა. შეჯიბრებისას დამყარებულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 5 რეკორდი.

შეჯიბრების შედეგად შერჩეულ იქნა 2 ნაკრები გუნდი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობაში. შეჯიბრება გაიმართება თბილისში მიმდინარე წლის ნოემბერში.

შეჯიბრება კრივში გუნდურ პირველობაზე

სტალინირი. (საქ. კორ.). აქ ოთხ დღეს გრძელდებოდა სტალინირის, გორის, რუსთავის, თელავისა და ჭიათურის მოკრივეთა გუნდური შეჯიბრება რესპუბლიკურ პირველობაზე. შეჯიბრებას სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. ჯანაშია.

შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ სტალინირელი მოკრივეები. მეორე ადგილი დაიკავეს თელაველებმა, ხოლო მესამე—ჭიათურელებმა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის ხატრანსლაციო ქსელით)

19 აპრილს

6.45 — კონცერტი გლაზუნოვის ნაწარმოებებიდან. 9.20 — კონცერტი ქართულ ხალხურ საკრავებზე შემსრულებელთა მონაწილეობით. 10.30 — ლ. ქაჩელის ნოველა: „მეზვავრე". 18.10 — ჩაიკოვსკის და რახმანინოვის რომანსები. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.00 — გორკის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის მეორე ნახევრის ტრანსლაცია თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.00 — ლეონკავალოს ოპერა: „ჯამბაზების" გადაცემა. ანტრაქტში: საუბარი—ჩინეთის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა. 21.50—ქართული ხალხური სიმღერები რადიოკომიტეტის ანსამბლის შესრულებით. 22.20—ჯაი დაისის მოთხრობა: „ვაშინგტონის ისტორია". 22.40—სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 24.00 — პოპულარული მუსიკა.

დ ღ ე ს თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

ოპერისა და ბალეტის — „ტრავიატა" (მე-4 აბ.); **რუსთაველის სახელობის**—„პირველი ნაბიჯი"; **მარჯანიშვილის სახელობის**—„რომეო და ჯულიეტა"; **სომხური დრამის**—„ოქროს ქალაქი"; **მუსიკალური კომედიის**—„მეზვავრე აგარაკზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„გამოქცევა" (79-ე აბ. 7 საათზე); **ხანკულტურის**—„მეზვავრე დღეობაზე"; **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

ვლადიმერ, ანა, თამარ, მასურია, ნადია, ლოლა, ქსენია, ლუბა, ვახტანგ ბაქრაძეები, ს. აბაშიძე, ვ. ცნობილაძე, გ. შარაშიძე, ლაურა, მაერა ჯაშები იუწყებიან **ნუნუ მიხეილის ასულ კეჰელმაძე-გოგიტიძის** გარდაცვალებას.

თამარ და მელიტონ პაპავები შვილებით ცაცა და თინათი, სიძეებით ირაკლი მირზაშვილით და ოთარ პაქსაშვილით იუწყებიან **ეკატერინე ივანეს ასულ შენგელაიას** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის თბილისის გარნიზონის ოფიცერთა შემადგენლობა თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ბარამიძეს მისი მამის **ივანეს** გარდაცვალების გამო.

დ. ჯობაძე, ქ. ბეზარაშვილი, ნ. მალრაძე, ლ. მაჭავარიანი, გ. მაჭავარიანი, ა. კეთილაძე, ლ. ჩიკვაიძე, გ. ონოფრიშვილი, გ. ლეჟავა, დ. ფხაკაძე თანაგრძნობას უცხადებენ პ. კიკნაძეს მისი ძმის **აკაკი ვასილის-ძე კიკნაძის** გარდაცვალების გამო.

ნ. ლეჟავა, ა. ციხითათრიშვილი, მ. ეპიტაშვილი, ნ. მელაშვილი, მ. ნიორაძე, თ. მაისურაძე, ქ. რიბზინსკი, შ. გობეჯიშვილი, ქ. სიმონიშვილი, ი. ტატიშვილი, გ. მამუკაშვილი, ა. ლეჟავა თანაგრძნობას უცხადებენ ა. ბესელიას მისი დედის **პელაგია ივანეს ასულ ბესელიას** გარდაცვალების გამო.

პ. კანდელაკი, ლეონიდე, ქორა, ნიკოლოზ გოგიტიძეები ოჯახებით იუწყებიან რძლის **ნუნუ კეჰელმაძე-გოგიტიძის** გარდაცვალებას.

ნარა და ერმალო ჯაფარიძეები თანაგრძნობას უცხადებენ მიშა გოგიტიძეს მისი მეუღლის **ნუნუ მიხეილის ასულ კეჰელმაძე-გოგიტიძის** გარდაცვალების გამო.

ბიძაშვილები თამარ და რიტა კეჰელმაძეები, სიძეები სულიკო გაბუნია, ევგენი მუჯირი იუწყებიან **ნუნუ მიხეილის ასულ კეჰელმაძე-გოგიტიძის** გარდაცვალებას.

ილარიონ, სამსონ, თამარ მიქელაძეები და ვანო კვიდია ოჯახებით იუწყებიან პელაგია ბესელიას გარდაცვალებას.

მთავარი სამეთაურო სამმართველოს და თბილისის საფეთაურო ქსელის თანამშრომლები იუწყებიან **სიმონ პავლეს-ძე ფირალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IV, 8 ს. გამოსვენება 19-IV, 5 ს. ლელაშვილის შესახვ., 3.

ძმები დავით, კონსტანტინე ჯორჯიკიები, რძლები ანა, ევგენია, ძმისწულები ნოდარ, ვახტანგ მეუღლით მედეათი იუწყებიან **ეკატერინე ივანეს ასულ შენგელაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-IV, 8 ს. გამოსვენება 19-IV, 6 ს. ჯავახიშვილის, 9.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ **დ. შენგელაიას** მისი დედის **ეკატერინე ივანეს ასულ შენგელაიას** გარდაცვალების გამო.

ი. ძლენტი, ნ. მატუა, ი. დადიანი, ქ. გურგენიძე, მ. დემუროვი, ს. ჩოჩიძე, კ. მიქავა, გ. მანდენოვი, გ. განდუროვი, მ. კვინტრაძე თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ბარამიძეს მისი მამის **ივანეს** გარდაცვალების გამო.

ა. ბოკერია, ნ. კიზიაძე, გ. დათუშიძე, პ. გუგუშვილი, კ. ალანია, ი. ქითამაძე, გ. ვაწაძე, ბ. ქუთათელაძე, ბ. ჩაჩუნაშვილი, ნ. მჭედლიშვილი, ი. ახმეტელი, გ. იუზბაშევი თანაგრძნობას უცხადებენ გ. გოგისვანიძეს მისი დედის **დესპინე ნიკიფორეს ასულ გოგისვანიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ლუბა, შვილი ნუნუ, სიძე გივი კოტრიკაძე, შვილიშვილი დურსუნ იუწყებიან **მიშა ბესარიონის-ძე მახარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20, 21-IV, 8 ს. გამოსვენება 22-IV, 2 ს. გორის, 4.

ლენა და მაკარ ჯაშები იუწყებიან ბიძის **მიხეილ ბესარიონის-ძე მახარაძის** გარდაცვალებას.

მერი, ქეთო, დავით, შალვა შარაშენიძეები, თამარ, ლეილა, თამარ, ნელი, ვლადიმერ, ბონდო შარვაშიძეები, ეკატერინე, ვალოდია მარგველაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მ. და ვ. ბარამიძეებს მათი მამის **ივანეს** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის თბილისის განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ბარამიძეს მისი მამის **ივანეს** გარდაცვალების გამო.

ნინო, რუბენ, ლიდა, ნადია, ელენე, არჩილ, ვერამ გოგიტაძეები, ირაკლი ცქიტიშვილი იუწყებიან **ნუნუ კეჰელმაძე-გოგიტიძის** გარდაცვალებას.

ლიდა, ნუნუ და თორნიკე გამსახურდიები იუწყებიან **ნუნუ მიხეილის ასულ კეჰელმაძე-გოგიტიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 01273